პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 სამშაბათი 16 ნოემბერი № 270 (16700) ფასი 2 კაპ. 1976

ეს დღეები სოფლად

ციტრუსოვანთა ბაღებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი გ. ჩაჩიბაია) ნარინჯოვანთა პლანტაციებში ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა ორგანიზებულად დაიწყო. მოსავლის აღება-დაბინავება პირველი დღიდანვე შეუფერხებლად მიმდინარეობს.

დაწინაურდა დიდი სამამულო ომის მონაწილე კომუნისტი არტემ უვანია, რომელიც მანდარინის კრეფის უოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს. სურათზე: ა. უვანია ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფის დროს.

ა. სააკოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად

მუშური შემართებით, რწმენით, სინდისით

გავაჩაღოთ შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად. ვიყოთ მხოლოდ მოწინავენი. მტკიცე საფუძველი მოვუმზადოთ მეათე ხუთწლედის მომავალი წლების დავალებათა უთუო შესრულებას.

ამის შესახებ მოგვითხრობს ცნობილი მეფოლადე ოთარ ლომიძე ამ წერილში.

ეს იუო ამ ერთი თვის წინათ. ჩვენი ბრიგადა საოქტომბრო ვახტზე იდგა და კიდევ ერთი ჩქაროსნული დნობის განხორციელებას შეუდგა, რომ საწარმოს ხელმძღვანელობამ სასიხარულო ამბავი შეგვატყობინა — ჩემს ხახელზე მოხსენა ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მიხასალმებელი წერილი...

ახე გახდა 17 ოქტომბრის ჩვეულებრივი დამკვრელური სამუშაო დღე არაჩვეულებრივ, განსაკუთრებულ მოვლენად ჩემს პირად ცხოვრებაში, ჩემი მშობლიური ბრიგადის, საწარმოს საქმიანობაში.

ის დღე ვიზეიმეთ, ვისაუბრეთ, ვეთათბირეთ, მომავლის გეგმები დავსახეთ, რომ რაც შეიძლება უკეთ ვუპასუხოთ ამ დიდ დაფასებას, და ამასთან ჩქაროსნული ნადნობიც გამოვუშვით! უველაფერი ეს ერთ დღეს მოვასწარითო! აი თურმე რა შეხძლებია დიდ სიხარულს.

მაგრამ ის დღე მარტო ჩემთვის, ჩვენი ბრიგადისათვის როდი იყო დიდი სიხარულის, მაღალი საწარმოო მარგენებლების დღე. ცვლის დავალებების შესრულება შესძლო ჩვენი გიგანტი საწარმოს ყველა ბრიგადამ, ყველა უბანმა.

მაშინ კიდევ ერთხელ გამოჩნდა კოლექტივის დიდი ძალა, კოლექტივისა, რომელსაც ოქტომბრის იდეები ადუღაბებს, ჩვენი საზოგადოებს, ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარე იდეალები ასხივოსნებს, საომბლოს უსაზღვრო ხიყვარული და ერთგულება აღანთებს.

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძის გულთბილ ხიტყვებში ყველა რუსთაველმა მეტალურგმა, თუ ქიმიკოსმა, მეცემენტემ თუ მშენებელმა საკუთარი შრომის დაფასება ამოიკითხა. ამიტომაც იყო, რომ ქალაქის ბევრ კოლექტივში ეს ინფორმაცია გაზლდებულებები ნლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ნლის მანძილზე ჩვენი კოლექტივების შრომითი ეხტაფეტა გვიჩვენებს, თუ რა ენმინდად, პირნათლად მოვიტანეთ ჩვენი საბრძოლო შეჯიბრების დროში ნლის გადამწყვეტ კვარტალში, როგორ შევძელითო დაგვეძლია ხანგრძლივი ზამთრის, უამინდობის მძიმე შედეგები. მალე, ნლის ბოლოს ჩვენ ანგარიშს ჩავაბარებთ საომბლოს, თუ როგორ ვასრულებთ ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ისტორიულ დადგენილებას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის „გადაწყვეტილებებს, თუ როგორ შევუდექით ხკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ხიტყვაში დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელებას, თუ აქედანვე როგორ ვემზადებით დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 ნლისთავის შესახვედრად, რომელიც გაისად ალინიშნება.

და აი ამ დღეებში ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მისალოცი წერილი გაუგზავნა და დიდი შრომითი გამარჯვება მიულოცა ზაპოროჟიეს ხკკპ XXV ყრილობის სახელობის თბოელექტროსადგურის მშენებლებს, რომლებმაც ვადაზე ადრე ამუშავეს სადგურის მორიგი ენერგობლოკი. „მტკიცედ მჯამს, — ალნიშნავს მილოცვაში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, — რომ თქვენ კვლავაც წარმატებით შეასრულებთ ნაკისრ ახალ ვალდებულებებს და ღირსეულად შეხვდებით ღირსსახსოვარ თარიღს — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს“.

ამ ხიტყვებმა ამაღებინა ხელში კალამი და დღეს მინდა ჩემს კოლეგებს, საქართველოს ყველა მშრომელს ჩემი ფიქრი გავუზიარო, რომ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ეს ხიტყვები თვითეულ ჩვენთაგანს ისევე აღანთებს ამ თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის, როგორც ზაპოროჟიელი მშენებელ-მემონტაჟეები აღანთო, როცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მილოცვის პასუხად ვალდებულება აკისრეს გაისად 3 თვით ადრე კიდევ ერთი ენერგობლოკი გადასცენ ხაექსპლოატაციოდ.

მოდით, ყველა უბანზე, ყველა რგოლში ვიფიქროთ ჩვენს შესაძლებლობებზე, ახალ რეზერვებზე და ნამდვილად ღირსეული ვალდებულებებით შეიარაღებული შევუდგეთ მე-60 საოქტომბრო დღესასწაულის შესახვედრად გაზლილ შეჯიბრებას.

ეს ჩვენი ღირსების საქმეა. პარტიამ და ხალხმა ახეთი უურადღებითა და მზრუნველობით რომ შეგვმოსეს, ჩვენ მოვალეც ვართ განუხრელად ვფიქრობდეთ საშობლის ძლიერებისა და აყვავებისათვის. საქართველოს დღევანდელი ვითარება, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში მომხდარი სასარგებლო ძვრები, რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების კვლავინდებურად უკომპრომისო, ნაკლოვანებებისადმი კვლავაც შეურიგებელი მტკიცე კურსი, საყოველთაო ენთუზიაზმი, პირადი პასუხისმგებლობის, დისციპლინის განუხრელი ზრდა და განმტკიცება თვითეულ ჩვენგანს იმის დიდ რწმენას გვინერგავს, რომ საქართველოს მუშათა კლასი კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმება მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო და ნამდვილი გმირული შრომით, შემართებით გამოსჭედს თავის საუკეთესო მომავალს.

დიდი რწმენის ძალა, და იგი დღეს სულ უფრო მტკიცდება. ეს ნათლად ჩანს ყველგან, რა თქმა უნდა, ჩვენს კოლექტივშიც: ჯერ კიდევ ხკკპ XXV ყრილობის დაწყებამდე, ჩვენმა ბრიგადამ 1976 წელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრი გაუმჯობესების წელიწადად გამოაცხადა. ვიკისრეთ ყოველი დნობა ჩქაროსნულად განგვეხორციელებინა, ყველა შეკვეთა ვადამდე შეგვეხრულებინა. ჩვენ სხვებმაც მოგვბაძეს და შეჯიბრება გაჩაღდა.

რომ იცოდეთ, რა დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მეტალურგები თავიანთ ვალდებულებებს, ყველგან დაიცვეს შეჯიბრების პირობები და ამ წამოწყებამ საწარმოში საფუძველი მოუმზადა საყოველთაო-ხალხური ლაშქრობას — „არცერთი ჩამორჩენილი, არცერთი დისციპლინის დამრღვევი ჩვენ გვერდით! მტკიცე დისციპლინა, მაღალი პასუხისმგებლობა ყველგან, ყველა უბანზე!“.

ამ ინიციატივით რომ გამოვედით, ჩვენ მტკიცედ გვწამდა, რომ თანამონმახს სხვებიც დაუჭერდნენ მხარს, გააღრმავებდნენ, გააფართოვებდნენ. ამ რწმენამ არ გვიმტყუნა — მეტალურგთა ინიციატივა ათობით საწარმოს, ასობით, ათასობით ბრიგადის და ინდივიდუალური მომუშავის ხადღეისო შეჯიბრების ორიენტირია.

ეს გასაგებიც არის, რაც უფრო მტკიცე ხდება ჩვენი რწმენა, მით უფრო იზრდება პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, უმჯობესდება სოციალისტური შრომისა და ყოფა-ცხოვრების დისციპლინა ყველგან, ყველა რგოლში!

დღეს, როცა ვიზეიმეთ საუოველთაო მზადებას ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად, სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მუშათა კლასმა მეათე ხუთწლედს კაბგი საფუძველი ჩაუყარა. თვითეულ ჩვენგანს სიამაყე ბგრის იმის გახსენება, რომ ყველა კოლექტივი ერთსულოვნად გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას წლიურს გეგმის გადამეტებით 170 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვების შესახებ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მოქალაქეობრივი შეგნება, მუშური ხინდისი, გაგება სათანადო სიმაღლეზეა. რაკი მოგვიწოდეს, ესე იგი საჭიროა და ჩვენ ეს უნდა შევასრულოთ. როცა ვხედავთ, რომ კოლექტივებს დღითიდღე სულ უფრო მეტი წვლილი შეაქვთ ამ დიდ ვალდებულებაში, როცა 10 თვეში თითქმის უკვე გაიკვა, რომ მიცემული პირობას რესპუბლიკის მუშათა კლასი უთუოდ შეასრულებს, გული სიხარულით გვევსება.

დღეს, როცა ბევრი რამ კარგი გავიხსენეთ, აუცილებელია ისიც ვთქვათ და გვახსოვდეს, რომ მთავარი გასაკეთებელი საქმე ჯერ წინ გვიძევს. უთუოდ უნდა შევასრულოთ ახალი ხუთწლედის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც ჩვენგან მხოლოდ ეფექტიან, ხარისხოვან, ენერგიულად პატრიოტულ შემართებას მოითხოვს, ამიტომაც მოგმართავთ მოწოდებით, და გიწვევთ შეჯიბრებაში, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად დაიწყო.

ვიყოთ მხოლოდ მოწინავენი!

ოთარ ლომიძე,

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, ხკკპ XXV ყრილობის დელეგატი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ რაიონების (ქალაქების) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს რწმუნებების ვადა უმთავრდებათ 1976 წლის დეკემბერში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა 1976 წლის დეკემბერში ჩაატარონ საქართველოს სსრ რაიონების (ქალაქების) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილასუვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 15 ნოემბერი, 1976 წ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის კასუხად

ჭარხალი გეგმის ზევით

ფრონისხეოელმა მეჭარხლეებმა სიტყვა საქმედ აქციეს

მმათმ ხუთწლედის პირველი წლის დასაწყისშივე ქარელის რაიონის ფრონისხეობის კოლმეურნეობამ დიდი თათსნობა წამოიწყეს. მათ გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და რესპუბლიკის მშრომელებისადმი მიიღეს მიმართვა, რომელშიც ნათქვამია:

„გავაჩაღოთ შეჯიბრება იმისათვის, რომ მეათე ხუთწლედი გადავაქციოთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის საბოლოო დაძლევის ხუთწლედად“.

ამ ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ.

მას შემდეგ ცხრა თვე გავიდა და ახლა შეიძლება ვილაპარაკოთ იმ შრომითს წარმატებებზე, რომლებიც ქარელელმა მეჭარხლეებმა მოიკოვეს. წლეულს მათ რაიონში შაქრის ჭარხალი 1.153 ჰექტარზე დათესეს და ნაცვლად 37.600 ტონისა 41.800 ტონა ჭარხლის მიღება იკისრეს.

— წლეულს შაქრის ჭარხალი 120 ჰექტარზე გვეთესა, — ამბობს ფრონისხეობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანდრო ბერიძე. შაქრის ჭარხლის პლანტაციების დამუშავება თავიდანვე კარგად დავიწყეთ. გამოხმირვა, ოთხნა, სასუქების შეტანა და სხვა სამუშაოები აგროწესებით გათვალისწინებულ ვადებში ჩავატარეთ.

სახელმწიფოს ნაცვლად 3.780 ტონისა უკვე მივყიდეთ 4.500 ტონა შაქრის ჭარხალი. ჰექტარზე საშუალოდ 375 ცენტნერი მივიღეთ, რითაც რაიონის საშუალო მოსავლიანობას 38 ცენტნერით გადავაჭარბეთ. ჩვენმა კოლმეურნეობამ მარტო შაქრის ჭარხლიდან 154.700 მანეთი მიიღო, ანუ 8.806 მანეთით მეტი, ვიდრე შარშან. რა თქმა უნდა, ამით არ დავკმაყოფილდებით. მომავალ წელს უფრო მეტად ვიზრუნებთ მიწის ნაყოფიერებისათვის.

ამას წინათ გაზეთში წავიკითხეთ, რომ ტირასპოლის ოლქის პოდვოლოჩის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნისტის“ მექანიზატორი ზახარ სტეპელსკი ყოველდღიურად კომბაინით შაქრის ჭარხლის 43 ჰექტარზე იღებს. ჩვენი რაიონის მეჭარხლეებს ასეთი ორიოდე კომბაინი მაინც რომ ჰქონდეთ, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დიდი შეღავათი იქნებოდა.

გავეცანით ფრონისხეობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჭარხლეების შრომითს მაჩვენებლებს. ფრონისხეველებს თავდაუზოგავად უშრომიათ, სიტყვა საქმედ უქცევიათ. შურა კალმახელიძემ წლეულს ჰექტარზე 1.107 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა, ვარა ლოქაბიძემ კი — 827 ცენტნერი.

დიახ, ფრონისხეობელების, აბისის კოლმეურნეობის, ბრეძის საბჭოთა მეურნეობის და სხვა საზოგადოებრივი მეურნეობების მშრომელთა თავდადებული გარჯის შედეგია, რომ ქარელის რაიონის მეჭარხლეებმა სახელმწიფოს უკვე 35.000 ტონა შაქრის ჭარხალი მიჰყიდეს. ამ ტკბილი ნაყოფის ამოღება რაიონის ზოგიერთ მეურნეობებში კვლავ გრძელდება.

რ. ბასილაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი იუგოსლავიაში გაემგზავრა

15 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** მოსკოვიდან გაემგზავრა იუგოსლავიაში, სადაც მეგობრული ვიზიტით მიიწვია იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ ამხანაგმა **იოსიპ ბროზ ტიტომ.**

ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევთან** ერთად მოსკოვიდან გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **კ. ვ. რუსაკოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **ა. მ. ალექსანდროვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ნ. ნ. როდიონოვი.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საკადესის გენერალური დირექტორი **ლ. მ. ზამიატინი.**

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ „ბელგრადის“ აეროდრომზე ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევსა** და მასთან ერთად ჩამოსულ პირებს თვითმფრინავის ტრაპთან შეხვდნენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აღმასკომის მდივანი **ს. დოლანცი,** იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **ი. სმოლე.** აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში **ვ. ი. სტეპანოვი.**

აეროდრომიდან ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** და მასთან ერთად ჩამოსული პირები სპეციალურ ესკორტის თანხლებით გაემართნენ ქალაქისაკენ. ბელგრადის ქუჩებსა და მოედნებზე, რომლებიც მორთული იყო სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, ტრანსპარანტებით რუსულ და სერბიულ ენებზე: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევ!“, „გაუმარჯოს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციულ რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობასა და თანამშრომლობას!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სამეგობრებო!“, იუგოსლავიის დედაქალაქის მცხოვრებნი გულთბილად მიესალმებოდნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

თეთრ სასახლესთან იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში მიღებული ოქმის შესაბამისად, გაიმართა ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** შეხვედრის ოფიციალური ცერემონია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს გულითადად მიესალმა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე **ი. ბროზ ტიტო.** მასთან ერთად იყვნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის წევრი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი **ე. კარდელი,** იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **ვ. უარკოვიჩი,** საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **დ. ბიედიჩი,** საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა საკავშირო მდივანი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **მ. მინჩიჩი.**

შესრულდა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები, გაისმა სალუტის 21 ზალპი. ამხანაგებმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** და **ი. ბროზ ტიტომ** ჩამოიარეს საპატიო ყარაულის მწყობრს. პიონერებმა ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ი. ბროზ ტიტოს ყვავილების თაიგულები მიართვეს.

ამხანაგმა **ი. ბროზ ტიტომ** ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს** წარუდგინა შეხვედრის დამსწრე იუგოსლავიის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები: იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სუპაშინის თავმჯდომარე, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **ა. გ. ალექსანდროვიჩი,** ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სოციალისტური რესპუბლიკის სუპაშინის თავმჯდომარე, **ბ. ბ. ბანიჩი,** ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ლიგის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ბ. ბანიჩი,** ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ლიგის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრ

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

კომუნისტი სიტყვას ამბობს

არცერთი შეკითხვა, წინადადება — უყურადღებოდ!

კარგიც და გულდასაწყვეტიც

როცა კრებაზე გამოსასვლელად ვემზადებოდი, მომაგონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვები: ყველაზე პატარა პარტიულ ორგანიზაციაშიც კი, თუ ყველაფერს კარგად ავწონ-დაგწონით, ყველაფერს შევნიშნავთ, ყველაფერს გავითვალისწინებთ, შეგვძლია ბევრი რამ გავაკეთოთ, ბევრი ახალი შესაძლებლობა გამოავლინოთ...

ეს აზრი ძალიან მიესადაგება ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას, რომელშიც მხოლოდ ოთხი კომუნისტია, არ არის ისეთი კომენსტი, რომელსაც პარტიული დავალება არ ჰქონდეს და კეთილსინდისიერად არ ასრულებდეს.

ღრეს ჩვენს კრებაზე მინდა დავაყენო ზოგიერთი საკითხი: უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მუშაობა გვიხდება საქართველოს ერთ-ერთ შორეულ, მთიან კუთხეში, სადაც ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია იმისათვის, რომ სრულად დავაკმაყოფილოთ ადამიანთა გაზრდილი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნები, ვერ ეიჩენთ სათანადო პრინციპულობას. მართალია, ბევრი საქმე ჩვენზე რაიონის დამოკიდებული, მაგრამ მეტი რომ მოგვეთხოვა ამ ორგანიზაციებისაგან, რომლებსაც ევალებათ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მთის რაიონებს, ხალხის საკეთილდღეოდ უფრო ბევრი გაკეთდებოდა.

ამ საკითხებს, ეფიქრობ, პარტიული ორგანიზაცია გვერდს ვერ აუვლის, ვინაიდან საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვა ჩვენი პარტიის მთავარი საზრუნავია.

ავიღოთ გზა, რომელიც წელიწადში შვიდი-რვა თვე მწყობრიდან გამოდის. ფასანაურის საგზაო-საექსპლოატაციო უბანი ვერ აუდის ზამთრის პერიოდში გაფუჭებული გზების აღდგენას, რის გამოც ამ ზაფხულს ბატლის გზა ივლისს შუა რიცხვებში ძლივს გახსნეს. კარგი იქნება თუ ქინვალ-ბატლის გზა გამოიყოოა ცალკე უბნად, ამაში რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტრო უნდა დაგვეხმაროს.

ბატლში, სადაც ყოველ ზაფხულს აუარებელი ტურისტი მოდის, არ არის სასტუმრო, არ არის დასვენების ელემენტარული პირობები, ცუდად არის დაყენებული სამედიცინო მომსახურების საქმეც, რადგან არა გვყავს ექიმი. მდგომარეობას ართულებს უგზოობა, ხშირად გვიხდება ავადმყოფების საკაცით გადაყვანა 2.800 მეტრი სიმაღლის ულელტეხილზე, მთავრობის დადგენილებით ბატლსა და ხევსურეთის სხვა სოფლებში უნდა აეშენებინათ თანამედროვე ტიპის საცხოვრებლები, მაგრამ თითქმის ყველა სამინისტრომ და უწყებამ, ვისაც ამის გაკეთება ევალებოდა, არაფერი იღონეს, ყოველად შეუფერებელ ბინებშია მთავსებული სკოლა, მაღაზია, ფოსტა, ვეტუბანი... კარგი იქნებოდა, თუ დროებით მაინც დადგამდნენ ორიოდე ფიფურ სახლს, რომელშიც მოთავსდებოდა ეს დაწესებულებები.

შარშანდელმა დიდთოვლობამ და წყალდიდობამ წალეკა მიღმახევის გზა, მის აღდგენაზე კი არავინ ფიქრობს. ყველაფერი ეს ხელს უწყობს მოსახლეობის მიერაკეცის.— წელიწადში ხუთი-ექვსი ოჯახი ტოვებს შუბლიერ მთებს, საცხოვრებლად გადადის ბარში. ასე თუ გაგრძელდა, მალე მთაში აღარავინ დარჩება.

ა. შეთეკაური,
ლუშეთის რაიონის შატლის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის წევრი.

მპრტო დაპირება საქმეს არ შველის

კომუნისტი პარტიულ კრებაზე სიტყვას ამბობს... ცოდვებით ვერ გამოხატავ ზოგიერთი ამ გამოსვლის მნიშვნელობას მოცემული კონკრეტული უბნის, მთლიანად შრომითი კოლექტივისა თუ პარტიული ორგანიზაციის შემდგომი მუშაობისათვის. მაგრამ, ვინ იცის, კომუნისტთა რამდენი კარგი გამოსვლა მხოლოდ ქაღალდზე რჩება იმის გამო, რომ მას სათანადო ფიქსირებას არ უკეთებენ მიღებულ დადგენილებაში, არ იბრძვიან მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის?!

მხოლოდ ამით და სხვა არაფრით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ წლიდან წლამდე ჩვეულებრივ პარტიულ კრებებსა და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, ვაყენებთ საკითხს ზესტაფონის ხილეული წყლების ქარხნის უვარგისობაზე, ახალი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საწარმოს აგების აუცილებლობაზე, მაგრამ ყველაფერი ეს რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ჩვენი ქარხანა ქალაქის ცენტრში, შეზღუდულ ადგილზე მდებარეობს, საწარმოს საქვაბე მეურნეობა ნახშირის საწვავზე მუშაობს, ამონაბოლქვი კვამლი აბუჭყიანებს ატმოსფერას, რომელიც საკმაოდ უსუფთაოა. ძალზე პატარაა, საწარმოო ფართობი, მორალურად და ფიზიკურად გაკეთებულია საჩამომსხმელო ხაზი. ხ[illegible]ად გამოდის მწყობრიდან დანადგარ-მოწყობილობანი, რაც მოცდენების მიზეზი ხდება და უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე. ბუნებრივია, მუშაობის ასეთ პირობებში პროდუქციის ასორტიმენტის მრავალფეროვნებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია, თუმცა საკმაოდ დიდი სამრეწველო ქალაქის მოსახლეობას ამ მხრივ სერიოზული პრეტენზიები აქვს.

თუ აქ აშენდება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ხილეული წყლების დიდი ქარხანა, შესაძლებელი გახდება მეზობელი 5-6 რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაც. სასურველია ახალი საწარმოს დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნას, რომ იმერეთის რაიონები ზაფხულს პაპანაქება სიცხეში ლუდს რუსთაველიდან ეზიდებიან, ამით კი, ზედმეტი სატრანსპორტო ხარჯების გარდა, ხშირ შემთხვევაში ასობით კილომეტრზე ნანადგურები პროდუქცია ხარისხს კარგავს და მომხმარებელი უკმაყოფილო რჩება, ამიტომ, თუ კი ახალ საწარმოში მოეწყობა ლუდის ჩამომსხმელი ხაზი, ეს შრომელთა დიდ კმაყოფილებას გამოიწვევს.

მართალია, კიდევ ერთხელ ვლაპარაკობ ამაზე, მაგრამ მისი განხორციელების დიდი იმედი მაინც არა მაქვს. ეს საკითხი სხვა დროსაც ბევრჯერ დავაყენეთ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს წინაშე, მაგრამ დაპირებების მეტი არაფერი მიგვიღია.

ი. ოდიკაძე,
ზესტაფონის ხილეული წყლების ქარხნის კომუნისტი, ზეინკალი.

ვფიქრობთ ჩვენი პარტიული რიგები

ჩვენს დღევანდელ კრებაზე სხვა შენიშვნებთან ერთად ისიც მინდა ვთქვა, რომ აი უკვე ათი წელია სკკპ რიგებში არცერთი კაცი არ მიგვიღია, მაშინ, როცა პარტიაში მიღებას ბევრი პედაგოგი იმსახურებს. საჭიროა კიდევ უფრო გაკეთდეროთ პარტიული ზეგავლენა სასწავლებლის მთელი კოლექტივზე.

თ. ციხკარიძე,
ბათუმის კულტსაგანმანათლებელო სასწავლებლის პედაგოგი.

როცა სასწავლო საზა დაბალ დონეზეა

ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული თუ სამეურნეო საქმიანობის ყველა საკითხი ბოლოს და ბოლოს ერთ ფოკუსში იყრის თავს — ეს არის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ისე გარდაქმნა, რომ სამშობლოს მივცეთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, იდეურად მომზადებული კადრები.

სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებაში კი ხელს გვიშლის ბევრი ორგანიზაციული საკითხი, რომელთა მოგვარება მარტო ჩვენზე როდია დამოკიდებული.

ავიღოთ, თუ გნებავთ, ბინის საკითხი. ორსებული ნორმების თანახმად საშუალო სპეციალურ სასწავლებელში ყოველ მოსწავლეზე უნდა მოდიოდეს 7-8 კვადრატული მეტრი ფართობი. ჩვენი ორცვლიანი მუშაობის პირობებშიც კი ეს ნორმა დაცული არ არის. ეფიქრობ, საშეფო ორგანიზაციებს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, „სატექმონტაჟის“ ტრესტს და საქართველოს ქვანახშირის საწარმოთა გაერთიანებას ყველა საშუალება აქვთ ტექნიკუმის არსებულ შენობაზე დაშენონ ორი სართული. ჩვენ შეგვძლებთ, რომ მშენებლობა უზრუნველყოთ საკუთარი მუშახელით. შესაბამისმა სამინისტროებმა, ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა იფიქრონ ქუთაისში სტუდენტთა და მოსწავლეთა საცხოვრებელი ბინების კომპლექსის მშენებლობაზე, მით უფრო, რომ ამ მხრივ ძალიან სავიზოვაა.

არის სხვა საკითხებიც, რომელთა მოგვარება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ქუთაისში დღემდე არა გვაქვს ისეთი მაღაზია-ბაზა, სადაც შეიძლებოდეს თვალსაჩინოების მასალების, სწავლებისათვის სხვადასხვა საჭირო მოწყობილობათა შეძენა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ დასავლეთ საქართველოში თავმოყრილია ბევრი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი. ასევე არ არის ტექნიკური ლიტერატურის მაღაზია.

არაერთხელ გვითქვამს და კვლავაც ვიმეორებთ, რომ ტექნიკუმის კურსდამთავრებულებზე ქალაქში დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ სამშენებლო ორგანიზაციები დროულად არ უდგენენ სამინისტროს განაცხადებს და სპეციალისტებს აქ არ ანაწილებენ.

სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ნორმალურად წარმართვაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი თათბირები და სხდომები, რაც იწვევს პედაგოგთა ზედმეტ გადატვირთვას, დროის უნაყოფოდ ფლანგვას. პარტორგანიზაციის ახალდარჩეულმა ბიურომ ეს უნდა გითვალისწინოს.

გ. კალანდაძე,
ქუთაისის სამთო ტექნიკუმის დღის დაწყებული განყოფილების გამგე.

რაიკომი უფრო უნდა გვეხმარებოდეს

მოდით, დღევანდელ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე პირდაპირ ვთქვათ: ჩვენ, ადგილებზე მომუშავე კომუნისტებს, გვაკლია პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პრაქტიკული დახმარების ხელი, განსაკუთრებით ასეთი დახმარება პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს სჭირდებათ.

შეიძლება თქვან, პარტიის რაიკომის ინსტრუქტორები ხომ დადიან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებშიო. დიახ, დადიან და არცთუ იშვიათად, მაგრამ ისინი ცოცხალი ინსტრუქტაჟისათვის ცოტას იცლიან. მათ, უპირველეს ყოვლისა, რაიკომის ბიუროს სხდომებისათვის კრიტიკული ფაქტების მოძებნა ინტერესებთ, ასეთ ფაქტებს კი იოლად ნახულობენ განსაკუთრებით იმ პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებსაც ახალბედა მდივნები ჰყავთ, და აი იმის ნაცვლად რომ მათ პრაქტიკულად დაეხმარონ, ხშირად რაიკომის ბიუროს სხდომაზე აწითლებენ პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის დაბალი დონისათვის.

ვიცით, რომ პარტიის რაიკომის მუშაკები წარმოების ხელმძღვანელებს ხშირად აკითხავენ, მაგრამ არ უნდა დაივიწყონ ჩოლმე პარტიული ორგანიზაციის მდივნები.

ა. ლემონჯავა,
ჩხოროწყუს რაიონის ზუმის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ეკონომისტი.

სად ვნახოთ კინოფილმები?

საყოველთაოდ ცნობილია კინოს, როგორც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალების როლი. მაგრამ ეს გამორჩათ მხედველობიდან ლეძაძამეს, უშფოთის, ახალსენაკის, ოკისა და ჭალადიდის სასოფლო საბჭოების მესვეურებს. იმის გამო, რომ უშფოთის 200-ადგილიან კლუბში მხოლოდ 25 სკამია, კინოსურათების ჩვენებას აქ მსურველთა მცირე რაოდენობა ესწრება, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ღონისძიებებზე. ქალაქის კინოთეატრ „რუსთაველში“ წვიმა ჩამოდის. სარემონტო კინოთეატრ „ოქტომბერიც“. მაგრამ რესპუბლიკის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი საჭირო მასალებს არ იძლევა. ზეფეში კლუბის რემონტის გაჭიანურების გამო რამდენიმე თვეს კინოფილმები არ უჩვენებიათ.

როდემდის უნა გაგრძელდეს მშრომელთა კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება?!

ი. ბოჯგუა,
ცხაკაიას კინოქსელის დირექტორი.

კვლავ მოსწავლეთა ფორმის შესახებ

ჩვენთან პირველკლასელი მოსწავლის ფორმის ტანსაცმელს ვერ იშოვით. ამიტომ კლასებში სიცარელეა. თელავში არის სამკერვალო ფაბრიკაც, საყოფაცხოვრებო მომსახურების ატელიეებიც. ნუთუ არ შეიძლება იქ იკერებოდეს მოსწავლის ფორმის ტანსაცმელი?

ნ. ლეგაშვილი,
ქ. თელავის პირველი ხაშუალო სკოლის მასწავლებელი.

კარტიული სწავლება უკარტიოებსაც ეხებათ

აქ კრებაზე დამსწრე ყველა კომუნისტი დამეთანხმება, თუ ამ უკანასკნელ ხანს როგორ ამაღლდა ჩვენთან პოლიტიკური სწავლების დონე. მაგრამ ამ სწავლების ნაკლი მაინც ის არის, რომ იგი არ მოიცავს ჩვენი კოლექტივის — სასტუმრო „თბილისის“ ყველა წევრს. ჩვენთან კი 300-მდე უპარტიო მუშაობს, მათი დიდი უმრავლესობა დღემდე ვერ ჩავებით პარტიული განათლების ქსელში. ამ ხარვეზს, რომელიც საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს სასტუმროში წლების მანძილზე შეიმჩნევა, ახალარჩეულმა პარტბიუტომ უნდა მიაქციოს ყურადღება.

ი. პოგრებნიაკი,
რესტორან „თბილისის“ მუშაკი.

ტრანსპორტის სახეობებს შორის საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი ყველაზე უნივერსალურია. იგი ხომ უზრუნველყოფს სხვადასხვა სახალხო-სამეურნეო ტვირთის, როგორც ამბობენ, „კარიდან-კარამდე“ გადაზიდვას, ამასთან კარგი ხარისხითა და რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით. მაგალითად, გამოთვლილია, რომ საერთო სარგებლობის ავტომობილების მწარმოებლობა თითქმის 30 პროცენტით აღემატება, ტვირთზიდვის თვითღირებულება კი ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე საუწყებო ავტოტრანსპორტისა. ვიყენებთ რა ამ უდავო უპირატესობებს, ვფიქრობთ, მისი ტვირთბრუნვა ახლანდელ ხუთწლედში 45 პროცენტამდე გავზარდოთ. ამ დიდი და პასუხსაგები ამოცანის შესრულებას ვაპირებთ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის, საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების, გასულ წლებთან შედარებით წარმოების დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესების, მთელი სატრანსპორტო პროცესის ორგანიზაციის გზით. სწორედ ამით ვხელმძღვანელობდით, როცა ვამუშავებდით 1976 წლისა და საერთოდ მთელი ხუთწლედისათვის გათვალისწინებულ ღონისძიებათა ვრცელ კომპლექსს.

რა კეთდება დღეს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებში წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად და მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად?

ტვირთზიდვის დაჩქარებისა და მისი თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეზერვია მანქანების კონცენტრაცია მსხვილ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში. სპეციალისტებმა გამოარკვიეს, რომ წვრილ, დაქსაქსულ ავტომეურნეობებში ავტომობილების მწარმოებლობა სამჯერ უფრო ნაკლებია, ტვირთზიდვის თვითღირებულება კი 70 პროცენტით მეტია, ვიდრე იმ ავტოსაწარმოებში, რომლებსაც ასი და ასზე მეტი მანქანა აქვთ.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში წარმატებით მოქმედებს გამსხვილებული ავტოსატრანსპორტო გაერთიანებები. ისინი შეიქმნა რესპუბლიკის ტვირთის ყველა თავმოყრის პუნქტებში — ჭიათურაში, ახალციხეში, გორში, მარნეულში, მცხეთასა და ხაშურში. აქ თავმოყრილია 26 სპეციალიზებული და შერეული საწარმო. მსხვილი გაერთიანებების შექმნამ შესაძლებელად გახადოდა ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა იფიქროს ქუთაისში სტუდენტთა და მოსწავლეთა საცხოვრებელი ბინების კომპლექსის მშენებლობაზე, მით უფრო, რომ ამ მხრივ ძალიან სავიზოვაა.

არის სხვა საკითხებიც, რომელთა მოგვარება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ქუთაისში დღემდე არა გვაქვს ისეთი მაღაზია-ბაზა, სადაც შეიძლებოდეს თვალსაჩინოების მასალების, სწავლებისათვის სხვადასხვა საჭირო მოწყობილობათა შეძენა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ დასავლეთ საქართველოში თავმოყრილია ბევრი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი. ასევე არ არის ტექნიკური ლიტერატურის მაღაზია.

არაერთხელ გვითქვამს და კვლავაც ვიმეორებთ, რომ ტექნიკუმის კურსდამთავრებულებზე ქალაქში დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ სამშენებლო ორგანიზაციები დროულად არ უდგენენ სამინისტროს განაცხადებს და სპეციალისტებს აქ არ ანაწილებენ.

სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ნორმალურად წარმართვაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი თათბირები და სხდომები, რაც იწვევს პედაგოგთა ზედმეტ გადატვირთვას, დროის უნაყოფოდ ფლანგვას. პარტორგანიზაციის ახალდარჩეულმა ბიურომ ეს უნდა გითვალისწინოს.

გ. კალანდაძე,
ქუთაისის სამთო ტექნიკუმის დღის დაყოფილების გამგე.

ეფექტიანობის დიდი რეზერვი

ხუთწლედის კროგლემები

საავტომობილო ტრანსპორტი — ქვეყნის სამსახურში

საქმიანობა უშუალოდ სამინისტროს დაეკვემდებარა. მათი მუშაობის დადებითი გამოცდილების გამოყენების შედეგად მომავალში დაგეგმილი გვაქვს მთელი დარგი ეტაპობრივად მართვის ორ რგოლიან სისტემაზე გადაყვანვნთ.

ეფექტიანობის ამაღლების დიდმნიშვნელოვან ბერკეტად მიგვაჩნია ცენტრალიზებული ტვირთზიდვის ყოველი ღონისძიებით გაფართოებაც. ოპტიმალური მოძრავი შემადგენლობის შერჩევა, გრაფიკის შესაბამისად მისი მუშაობის ორგანიზაცია, პირდაპირი ვარიანტის — („ვაგონი-ავტომობილი-საწყობის“) — ფართო გამოყენება — ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ სატრანსპორტო დანახარჯები და უზრუნველვყოთ ავტომობილების ყველაზე რაციონალური გამოყენება.

მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, უკვე წლეულს დაგეგმილი გვაქვს ცენტრალიზებული ტვირთზიდვის მოცულობა სამინისტროში გადასაზიდი ტვირთის საერთო რაოდენობის 85 პროცენტამდე გავზარდოთ.

დიდი ეფექტი უნდა მოგვცეს სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების გაუმჯობესების, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად გზაში დატვირთვის საშუალებით ავტომობილების ცარიელი გარბენის შემცირების ღონისძიებებმაც. უკვე წლეულს ამგვარად დატვირთება 16 ათასამდე ცარიელი ავტომანქანა, რომლებიც 90 ათას ტონამდე სახალხო-სამეურნეო ტვირთს გადაზიდავენ.

აი უკვე რამდენიმე წელია სამინისტროს სპეციალისტები ამუშავებენ ტვირთზიდვის ოპტიმალურ სქემებს, რომლებიც სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის უფრო რაციონალურ ურთიერთმუშაობის მექანიზაცია, უზრუნველყოფო ტვირთის დაცვა.

ავტოპარკს გამტარუნარიანობის შესაძლებლობათა ამაღლებაში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სატვირთო ავტომობილების დღეღამის მანძილზე ხაზზე მუშაობის განაგრძელებას.

ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციებმ რეალურად დაგვეხმარნენ, ეს გაკეთდა ავტომობილების შემცველ ავტოსატრანსპორტის შემდგომი განვითარების დარგში. ამ ხუთწლედში დაგეგმილი გვაქვს არსებითად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება. გავითვალოთ ქალაქებსა და სოფლებში ავტობუსების რეგულარული მიმოსვლა. ამ მიზნით ქალაქებში შემოღებულია სექსპრესი და ნახევრად სექსპრესი მარშრუტები. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე საქალაქთაშორისო საავტომობილო მარშრუტების რაოდენობა, რომლებმაც რესპუბლიკის ყველაზე დაშორებული კუთხეები ერთმანეთთან დააკავშირა, კიდევ 42 ხაზით გაიზარდა. საქალაქთაშორისო საავტობუსო მიმოსვლის განვითარება არსებითი წელილია 182 ავტოსადგურისა და ავტოპავილონის გაერთიანება საკავშირო სამგზავრო ავტოსადგურებად, მათ დამი ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია. ეს და ბევრი სხვა ღონისძიება ხელს შეიწყობს მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანას.

რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებს შეგვიბეჭდეს აქვთ თავიანთი სპეციალური როლი სახალხო მეურნეობაში საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევის საქმეში, წარმოების ეფექტიანობის განუხრელ ამაღლებაში. ისინი ყოველთვის განამტკიცებენ სახელმწიფო, სახელშეკრულებო და საშემსრულებლო დისციპლინას, აუმჯობესებენ თავიანთი შრომის ხარისხს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პირნათლად შეასრულონ შემდინარე წლის და მთელი მეათე ხუთწლედის პროგრამის ვადამდე განაღდებისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

თ. დავითაშვილი,
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი.

ნოვაჯორთა მამოცდილება — ახალგაზრდებს!

სიმინდის უხვი მოსავლისათვის

გალის რაიონის მშრომელები მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ გაადიდონ მეათე ხუთწლედში სიმინდის მოსავალი.

საძირკველი ჩაეყარა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის ჩოქოლი ქვაჩახიას ბრინჯაოს ბიუსტს.

გალის რაიონის სოფელ ოქუმის კოლმეურნეობის ცნობილი მესიმინდის, სოციალისტური შრომის გმირის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ჩ. ქვაჩახიას სახელი თავის დროზე ცნობილი გახდა მთელ საბჭოთა კავშირში. მას ყოველწლიურად რეკორდული მოსავალი მოჰყავდა, მისთვის არ იყო მოუსავლიანი წელი.

ნოვატორი მესიმინდის ჩ. ქვაჩახიას შრომითს გამოცდილებას დღესაც სწავლობენ და მომავალშიც ისწავლიან მინდვრის მშრომელები.

ამას წინათ ოქუმში დიდი ზეიმი იყო. აქ ჩამოვიდნენ საქართველოსა და აფხაზეთის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მწერლები, აფხაზეთის რაიონებისა და ქალაქების, აგრეთვე მეზობელი რაიონების წარმომადგენლები.

სოფლის ცენტრში გაშენებულ პარკში შეიკრიბნენ სტუმრები და მასპინძლები. სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის ჩოქოლი ქვაჩახიას ბრინჯაოს ბიუსტის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილი მშრომელთა მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. გულუამ.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის სოფლის კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ხინთბამ. მან დაახასიათა ჩოქოლი ქვაჩახია, როგორც სახელოვანი კოლმეურნე გლეხების ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, მკლავმოღელური მშრომელი, კომუნისტი, ნოვატორი, სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატი, რომელსაც სიმინდის ფართობის დამუშავების, ნათესების მოვლა-მოყვანის მოწინავე მეთოდების დანერგვისა და სარეკორდო მოსავლის მიღებისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირისა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატის სახელო.

ჩოქოლი ქვაჩახიას შესანიშნავი სქმე ფართოდ გავრცელდა. ამ ნოვატორი მესიმინდის გამოცდილებას დღესაც ფართოდ იყენებენ ჩვენი მესიმინდეები, პატივს სცემენ მის ხსოვნას.

მიტინგზე სოფელ ოქუმის კოლმეურნეობის სახელგანთქმულმა ბრიგადირმა ხ. შონთამ, ახალგაზრდა მესიმინდემ გ. ჯოლოგუამ, ოქუმის საშუალო სკოლის დირექტორმა ი. შონამ, ცნობილმა პოეტმა ვლადიმერ სოლოდუხინმა, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორმა თ. ბუაჩიძემ გუდაუთის რაიონის დურიფშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა ვ. ტკანბამ დიდი პატივით მოიხსენიეს ჩ. ქვაჩახია და აღნიშნეს, რომ სიმინდის უხვი მოსავალი მისი მეთოდით მოჰყავთ ბევრ მეურნეობაში.

იმის შესახებ, თუ რის გაკეთებას აპირებენ რათა მოსავალი კიდევ აიღონ და სახელმწიფო ბელეტაში დაიბინონ, ამაზე ილაპარაკეს კოლტრუსის სახლში მოწყობილ შეკრებაზე გალის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა.

შეკრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ვარძელაშვილი.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მომართვა რესპუბლიკის ყველა მესიმინდისადმი.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათებზე: ზემოთ — მესიმინდეთა შეკრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი. ქვემოთ — ჩ. ქვაჩახიას ძეგლის საფუძვლის ჩაყრისადმი მიძღვნილი მიტინგი.

ი. პოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორონიკა).

ადგილობრივი ორგანოებისა და ავტომობილიანი მეურნეობების ხელმძღვანელებს

დაგაჩქაროთ მანქანების კოცენტრაცია მსხვილ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში

□

მოქმედების ითვალისწინებს. მაგალითად, ჩვენ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები საავტომობილო ტრანსპორტში მოკლე გარბენის სარკინიგზო ტვირთზიდვის გადასვლის შესახებ უკვე აღლა კარგ შედეგს გვაძლევს. წლეულს სარკინიგზო ტრანსპორტიდან საავტომობილო ტრანსპორტზე გადაეა 20.000 ტონა ტვირთი, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის მისმა მოცულობამ 200 ათას ტონას უნდა მიაღწიოს.

წლეულს გაგრძელდება ავტომისაბმელების ფართო ექსპლოატაციაც. დაგეგმილი გვაქვს, ამგვარად გადაზიდული ტვირთის მოცულობა ხუთწლედის დამლევისათვის ერთიოროად გავზარდოთ. კიდევ უფრო განვითარდება კონტეინერებითა და პაკეტებით ტვირთზიდვა, რაც საშუალებას მოგვცემს მკვეთრად აკამაღლოთ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მექანიზაცია, უზრუნველყოთ ტვირთის დაცვა.

ავტოპარკს გამტარუნარიანობის შესაძლებლობათა ამაღლებაში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სატვირთო ავტომობილების დღეღამის მანძილზე ხაზზე მუშაობის განაგრძელებას.

ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციებმ რეალურად დაგვეხმარნენ, ეს გაკეთდა ავტომობილების შემცველ ავტოსატრანსპორტის შემდგომი განვითარების დარგში. ამ ხუთწლედში დაგეგმილი გვაქვს არსებითად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება. გავითვალოთ ქალაქებსა და სოფლებში ავტობუსების რეგულარული მიმოსვლა. ამ მიზნით ქალაქებში შემოღებულია სექსპრესი და ნახევრად სექსპრესი მარშრუტები. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე საქალაქთაშორისო საავტომობილო მარშრუტების რაოდენობა, რომლებმაც რესპუბლიკის ყველაზე დაშორებული კუთხეები ერთმანეთთან დააკავშირა, კიდევ 42 ხაზით გაიზარდა. საქალაქთაშორისო საავტობუსო მიმოსვლის განვითარება არსებითი წელილია 182 ავტოსადგურისა და ავტოპავილონის გაერთიანება საკავშირო სამგზავრო ავტოსადგურებად, მათ დამი ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია. ეს და ბევრი სხვა ღონისძიება ხელს შეიწყობს მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანას.

რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებს შეგვიბეჭდეს აქვთ თავიანთი სპეციალური როლი სახალხო მეურნეობაში საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევის საქმეში, წარმოების ეფექტიანობის განუხრელ ამაღლებაში. ისინი ყოველთვის განამტკიცებენ სახელმწიფო, სახელშეკრულებო და საშემსრულებლო დისციპლინას, აუმჯობესებენ თავიანთი შრომის ხარისხს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პირნათლად შეასრულონ შემდინარე წლის და მთელი მეათე ხუთწლედის პროგრამის ვადამდე განაღდებისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

თ. დავითაშვილი,
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი.

ადამიანი და კანონი

დისციპლინა, წესრიგი — მთავარი საზრუნავი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თვითეული კომუნისტი, თვითეული მშრომელი, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ ყველგან განმტკიცდეს დისციპლინა, სრულად აღიკვეთოს სამართალდარღვევის შემთხვევები.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უკანასკნელ დროს პროფიოქტაკური და ოპერატიული მუშაობის გაჯანსაღების გარკვეული ტენდენციები იგრძნობა. ამას ნათლად მოწმობს საზოგადოებრივად საშიშ დანაშაულობათა შემცირება, მათი გამოვლინების გაუმჯობესება და სხვა მაჩვენებლები.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაზე დადებითს გავლენას ახდენს რესპუბლიკის ყველა ადმინისტრაციული ორგანოს ერთობლივი შეთანხმებული მოქმედება.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ წლეულს მაისში განიხილა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობის საკითხი, განახლებულია მათი რესპუბლიკური შტაბის შემადგენლობა.

ბევრი შტაბი უფრო აქტიურად მონაწილეობს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ცალკეული შტაბები ოპერატიულობასა და მამაცობას იჩენენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ფაქტები, პრობლემები

მსოფლიოს აზრით

ერთიანი მეგობრობისა

საკრებულის კორესპონდენტები და უცხოეთის პრესის საკვანძო ინფორმაციები

ოფიციალური განყოფილება

ახალი ქალაქის საწარმოო სიმძლავრეები

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1977-1980 წლებში საბეჭდი ქაღალდის წარმოების განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, 1971-1975 წლებში ვაზარდა საგაზეთო ქაღალდისა და სხვა სახეობათა საბეჭდი ქაღალდის წარმოება, მაგრამ მაინც ვერ კმაყოფილდება სრულად გამომცემლობათა მოთხოვნილება ამ ქაღალდზე, რაც აფერხებს საჭირო მოცულობით გაზეთებისა და წიგნ-ჟურნალის პროდუქციის გამოშვების გადიდებას.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ საბეჭდი ქაღალდის წარმოების შემდგომი განვითარება, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტროსა და ცელულოზა-ქაღალდის საწარმოთა მშენებელ სამინისტროებს დაავალეს უზრუნველყონ, რომ უახლოეს წლებში ამოქმედდეს საბეჭდი ქაღალდის საწარმოო მნიშვნელოვანი დამატებითი სიმძლავრეები კონდოპოგის, ბალახნის, სოლიკამსკისა და კამის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატებში, სიქტივკარის სატყეო სამრეწველო კომპლექსში და ქვეყნის სხვა საწარმოებში.

ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს დაუწესდა დავალება, რომ 1980 წლისათვის გაზარდოს საგაზეთო ქაღალდისა და სხვა სახეობათა საბეჭდი ქაღალდის წარმოება, აგრეთვე გაუმჯობესოს მისი ხარისხი და გაფართოოს ასორტიმენტი.

ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს და ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაევალათ უზრუნველყონ, რომ 1977-1980 წლებში უზრუნველყონ საბეჭდი ქაღალდის წარმოების ზრდისათვის საჭირო მოწყობილობის დამზადება, ხოლო ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს; სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს — ახალ სახეობათა ქიმიკატების, ნაკეთობებისა და მასალების სამრეწველო ათვისება ქაღალდის წარმოების პროცესების ინტენსიფიკაციის მიზნით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დავალეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველყონ კონტროლი იმისადმი, რომ დროულად სრულდებოდეს ამ დადგენილებით დაწესებული დავალებანი.

შაგათოგის შედეგად მიღებული სახსრების გამოყენება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „1976 წლის 17 აპრილის საკავშირო კომუნისტური შაბათობის მოწყობის შედეგად მიღებული სახსრების გამოყენების შესახებ“.

დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ აღნიშნული სახსრები მოხმარდეს:

97 მილიონი მანეთი — 1977-1980 წლებში 70,5 ათასადგილიანი ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობას;

124,3 მილიონი მანეთი — 1977-1980 წლებში 3,7 ათასხაწოლიანი ონკოლოგიური დისპანსერებისა და განყოფილებების, 3,21 ათასხაწოლიანი (მათ შორის 2,6 ათასხაწოლიანი საბავშვო) საავადმყოფოების, 1,43 ათასხაწოლიანი სამშობიარო სახლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა ობიექტების მშენებლობას.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მოსკოვის საქალაქო აღმასკომსა და ლენინგრადის საქალაქო აღმასკომს დაევალათ შეიმუშაონ აღნიშნული ობიექტების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, აგრეთვე უზრუნველყონ მათი მშენებლობა დადგენილ ვადაში.

სასოფლო-სამეურნეო დიდტვირთიანი მისაგზავნელები

სკკპ XXV ყრილობის მიერ დამტკიცებული „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებებით“ გათვალისწინებულია გაფართოვდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მისაბმელების წარმოება, რათა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული კ-700 და ტ-150 ტიპის ტრაქტორების ტექნიკური შესაძლებლობანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „1977-1980 წლებში კ-700, კ-701 და ტ-150კ ტიპის ტრაქტორების სასოფლო-სამეურნეო მისაბმელების წარმოების გადიდების შესახებ“.

დადგენილებით დასახულია, რომ კ-700, კ-701 და ტ-150 კ ტრაქტორების 9 და 12 ტონა ტვირთამწეობის მისაბმელების წარმოება 1976 წლის 33,5 ათასიდან 1980 წელს 91 ათასამდე გაიზარდოს. ამის შედეგად მეათე ხუთწლედში ასეთი მისაბმელების საერთო გამოშვება 284 ათასს შეადგენს, ანუ 44 ათასით მეტს, ვიდრე სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე ხუთწლედის ძირითად მიმართულებათა გაანგარიშებით არის დასახული. 1978 წლიდან დაწყებული სოფლის მეურნეობისათვის მისაწოდებელი კ-700, და კ-701 და ტ-150 კ ტიპის ყველა ტრაქტორი დაკომპლექტდება საჭირო რაოდენობის მისაბმელებით.

იმ საწარმოებთან ერთად, რომლებიც ამჟამად აღნიშნულ მისაბმელებს უშვებენ, დასახულია 1977-1980 წლებში მოეწყოს მათი წარმოება საავტომობილო მრეწველობის. კიდევ სამ საწარმოში.

გავუფრთხილდეთ მსოფლიო ოკეანის სიწმინდეს

სკკპ XXV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა გარემოსბუნების დაცვის გაძლიერების აუცილებლობა. იმ ღონისძიებათა შორის, რომლებიც ჩვენს ქვეყანაშია შემუშავებული და ხორციელდება პარტიის ყრილობის მითითების შესასრულებლად, დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ოკეანის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებას.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ წელს მიიღეს გადწყვეტილება ბალტიის, შავი და აზოვის ზღვების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

ამას წინათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „ვემეგბიან ზღვის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებით გათვალისწინებულია ფართო ღონისძიებანი, რომ გაძლიერდეს ბრძოლა, რათა აღიკვეთოს ზღვის გარემოს გემებიდან გაჭუჭყიანება ნავთობით, ნავთობპროდუქტებით, ჩამდინარე წყლებითა და სხვა ნივთიერებებით, რომლებიც ვნებენ ადამიანთა ჯანმრთელობას და ზღვის ცოცხალ რესურსებს.

სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა ვამგებლობაშია საზღვაო გემები, წყლის ზედაპირზე ან ზღვის ფსკერის წიაღში არსებული სასარგებლო. წაღისეულის დაზვერვა-მოპოვებისათვის განკუთვნილი სხვა მცურავი საშუალებები და დანადგარები (ლოტფორმები), უნდა უზრუნველყონ ამ გემების, სხვა მცურავი საშუალებებისა და დანადგარების აღჭურვა ნავთობშემცველი და ჩამდინარე წყლების საწმენდი, ნარჩენებისა და ნაგვის ბორტზეევე მომსპობი მოწყობილობით, აგრეთვე სხვა მოწყობილობითა და ხელსაწყოებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ზღვის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებას.

სსრ კავშირის სამინისტროებს დაუწესდათ საჭირო მოწყობილობისა და ხელსაწყოების წარმოების დავალებანი.

სსრ კავშირის რეგიონებს დაეკისრა ფუნქციები, რომ ზედამხედველობა გაუწიონ გემების მოწყობილობის დაპროექტებას, დამზადებასა და ექსპლოატაციას და მათს შესაბამის აღჭურვა-გადაკეთებას.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება „საწარმოებში კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1966 წლის 6 მარტის დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

ამჟამად კოლექტიური ხელშეკრულებანი ყოველწლიურად იდება მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სოფლისა და სატყეო მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში, გეოლოგიურ-საძიებო, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ, საძიებო და საპროექტო ორგანიზაციებში.

მიღებული დადგენილება აფართოებს იმ საწარმო-ორგანიზაციათა ნუსხას, სადაც კოლექტიური ხელშეკრულებანი უნდა დაიდოს. საჭიროდ არის მიჩნეული, რომ კოლექტიური ხელშეკრულებანი დაიდოს ხოლმე აგრეთვე სახანა-კომუნალურ მეურნეობის საწარმოებში, დამამზადებელ საწარმოებში, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევითს, საკონსტრუქტორო, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებში, რომლებსაც დამოუკიდებელი ბალანსი აქვთ და იურიდიულ პირს წარმოადგენენ.

მრეწველობის მართვის ამჟამად მიმდინარე გარდაქმნასთან დაკავშირებით კოლექტიური ხელშეკრულებანი იდება აგრეთვე საწარმოო (სტრუქტურულ) ერთეულებში, რომლებიც შედიან საწარმოო გაერთიანების (კომბინატის); სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში, — მათთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში.

შესაბამის სამინისტროებს, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებს და სხვა უწყებებს მიეცათ უფლება, რომ პროფკავშირთა შესაბამის ცენტრალურ და რესპუბლიკურ კომიტეტებთან შეთანხმებით განსაზღვრონ სამეცნიერო-კვლევითს, საკონსტრუქტორო, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებში დასადებ კოლექტიურ ხელშეკრულებათა ძირითადი დებულებანი მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

15 ნოემბერი

ფაქტები, პრობლემები

მსოფლიოს აზრით

საკრებულის კორესპონდენტები და უცხოეთის პრესის საკვანძო ინფორმაციები

დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენა

იუგოსლავიის პრესა ამახანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შესახებ

ბელგრადი. (საკკლესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული ვიზიტი იუგოსლავიაში, რომელიც დღეს დაიწყო, რესპუბლიკის დღევანდელი გაზეთების მთავარი თემაა. იუგოსლავიის პრესა ბევრ მასალას უძღვნის საბჭოთა კავშირს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, — წერს გაზეთი „ბორბა“ — ამ უკანასკნელ წლებში, ეჭვი არ არის, პირველი და გამოჩენილი საბჭოთა მოღვაწეა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეშე სამყოფოსთან მის ურთიერთობაში. უკვე ორ ათეულ წელზე მეტია ლ. ი. ბრეჟნევი საბჭოთა ისტორიის ყველა უმნიშვნელოვანესი მოვლენის აქტიური მონაწილე და მოქმედია. მისი მრავალი წლის აქტიურობამ საერთაშორისო ასპარეზზე მის ქვეყნის ნამდვილი ლიდერის უდავო ავტორიტეტი მოუპოვა, ამ აზრს იზიარებენ საბჭოთა ხალხიც, უცხოელი მეთვალყურენიც. ესოდენ მაღალი ავტორიტეტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მოიპოვა მუშაობის სპეციფიკური სტილის მეოხებით, რომელიც გამოირჩევა მოთმინებით, მეთოდურობით, სიმტკიცითა და, უწინარეს ყოვლისა, უდიდესი ენერგიითა და სიბეჯითით“.

„ლ. ი. ბრეჟნევი სსრ კავშირის მეათე ხუთწლედის მთავარი ავტორია, — განაგრძობს „ბორბა“. — მან შეიმუშავა ქვეყნის ახლანდელი აგრარული პოლიტიკა, რომელიც წელს აღინიშნა უაღრესად ხელსაყრელი შედეგებით. მისი საერთაშორისო მოღვაწეობა ამ უკანასკნელ წლებში შეიცავდა მთელ რიგ შეხვედრებს საზღვარგარეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან. ეს შეხვედრები საგრძნობწილად ეძღვნებოდა პლანეტის უდიდეს სახელმწიფოებს შორის დაძაბულობის შენელებას, მშვიდობის პროგრამის განხორციელებას. ბევრი ღონისძიება მოახმარა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა საოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას“.

ლ. ი. ბრეჟნევის მუშაობის სტილმა და ენერგიამ, წერს დასასრულ „ბორბა“, გაელენა მოახდინა ახლანდელი საბჭოთა ხელმძღვანელობის მთელ საქმიანობაზე.

ყოველკვირეული „კომუნისტი“, კომენტარს უძღვნის რა დაწყებულ ვიზიტს, წერს, რომ იგი კიდევ ერთი დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის განვითარებაში. ახლანდელი ვიზიტი მოწმობს, რომ ეს ურთიერთობა სულ უფრო შინაარსიანი ხდება. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის თანამშრომლობა ფართოვდება სხვადასხვა დარგში, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველა შესაძლებლობა როდია გამოყენებული, განსაკუთრებით ეკონომიური თანამშრომლობის დარგში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი იუგოსლავიაში, აღნიშნავს ყოველკვირეული, ემთხვევა დიდმნიშვნელოვან მოვლენებსა და დიდ ცვლილებათა პერიოდს საერთაშორისო ასპარეზზე. იუგოსლავია უაღრესად დაინტერესებულია იმით, რომ დაძაბულობის შენელების დაწყებული პოზიტიური პროცესები გაგრძელდეს და გავრცელდეს ხმელთაშუა ზღვის, ახლო აღმოსავლეთისა და მსოფლიოს სხვა რაიონებზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვიზიტი ხელს შეუწყობს ამ დადებითს ტენდენციებს.

იუგოსლავია ღღეს

ქალაქი ზენიცა იუგოსლავიის მეტალურგიის ცენტრია. აქ მდებარეობს მსხვილი მეტალურგიული კომბინატი, რომელიც მთელი ქვეყნის ფოლადის თითქმის ნახევარს აღნიშნავს. ქალაქი მდინარე ბოსნიის ნაპირებზეა გაშენებული. თანამედროვე საცხოვრებელი და ადმინისტრაციული სახლები მწვანე პარკებსა და სკვერებშია ჩაფლული. ქალაქში ოთხი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც ამზადებენ კადრებს ეროვნული მრეწველობისათვის. ზენიცის ოცდაათათასიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარი ახალგაზრდობაა.

ნუარათზე: ზენიცის ახალმშენებლობანი.

ტანიუგ-სპაიძისის ფოტო.

გმოგენ აგრესორს

ისრაელი სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის მტკიცე მუვიდობას ახლო აღმოსავლეთში

ნიუ-იორკი. (საკკლესი). ისრაელი არღვევს საერთაშორისო სამართალს, ჰუმანურობისა და მორალის ელემენტარულ ნორმებს, განაგრძობს ტერორისა და რეპრესიების პოლიტიკას მიტაცებულ არაბულ ტერიტორიებზე, რითაც სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის მიღწევას. ეს აღნიშნულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისრაელის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის გამომჟღავნებელ სპეციალური კომიტეტის მოხსენებაში.

ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა, ხაზგასმულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად წარდგენილ დოკუმენტში, არის არაბული ტერიტორიების ანექსიის პოლიტიკა, რომლის განხორციელება ისრაელმა 1967 წელს ამ ტერიტორიების დაპყრობისთანავე დაიწყო. ამჟამად, აღნიშნულია მოხსენებაში, ჰაინარე იორდანიის დასავლეთ ნაპირზე, გოლანის მაღლობებზე, ღაზის სექტორსა და სინის ნახევარკუნძულზე შექმნილია 60-ზე მეტი ისრაელთა დასახლება. ასეთ პოლიტიკას, აღნიშნულია დოკუმენტში ისრაელი ახორციელებს მთელი რიგი დასავლეთის სახელმწიფოების, და კერძოდ შეერთებული შტატების წაყრეებთან, რომელიც ყოველმხრივ სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას უწევს ისრაელს და მისი მფარველის როლში გამოდის.

სერიოზული უთანხმოებანი

ამერიკა-იაპონიის ფინანსმდგომობათა ახალი გამწვავება

ვაშინგტონი, (საკკლესი). შეერთებული შტატების მიერ ცალმხრივი წესით მიღებულ პროტექციონისტულ კანონმდებლობას, რომელიც ლახავს იაპონელ მეგბადურთა და თევზის მრეწველთა ინტერესებს, მოჰყვა ამერიკა-იაპონიის ფინანსმდგომობათა ახალი გამწვავება, რომელიც სულ უფრო ძლიერდება ორ ქვეყანას შორის ხანგრძლივი და დაძაბული დისკუსიების მსვლელობაში. ვაშინგტონში, კერძოდ, გაღიზიანება გამოიწვია იაპონიის მთავრობის უარმა ხელი მოაწეროს დოკუმენტს წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

იაპონელი მეგბადურები, წერს გაზეთი „ვაალტიმორ სანი“, შიშობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას კატასტროფული შედეგები მოჰყვება მათთვის“.

ბრძოლის ღღე ესპანეთში

მადრიდი, (საკკლესი). „საერთო-ეროვნული გაფიცვა, რომელიც განვლილ კვირაში მოეწყო, ესპანელ მშრომელთა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი გამოსვლა იყო სამოქალაქო ომის შემდეგ. მან ცხადყო ესპანეთის მუშათა კლასის ძალა და ძლიერება, მისი ერთიანი მოქმედების უნარი“, — განაცხადა პრესკონფერენციაზე მუშათა კომისიების ერთ-ერთმა ლიდერმა ნ. სარტორიუსმა. პრესკონფერენცია მოიწვიეს ნახევრად ლეგალური პროფკავშირების საკოორდინაციო კომიტეტმა, რომლებიც მუშათა კომისიებს აერთიანებენ, მშრომელთა საყოველთაო კავშირმა, მუშათა პროფკავშირულმა გაერთიანებამ. როგორც კომიტეტის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, გაფიცვაში, რომელიც სიძვირისა და უმუშევრობის ზრდის წინააღმდეგ ბრძოლის დღის ფარგლებში მოეწყო, მონაწილეობდა ორ მილიონ-ნახევარამდე მუშა და მოსამსახურე. ყველაზე დიდი აქტიურობა გამოიჩინეს მშენებელმა მუშებმა. სხვადასხვა პროვინციის შვიდასი ათასამდე მშენებელმა ამ დღეს უარი თქვა სამუშაოდ გამოსვლაზე. გაიფიცენენ ასი ათასამდე მეშახტე, რამდენიმე ათეული ათასი მელითონე, სახელმწიფო მოსამსახურე.

პრესკონფერენციაზე განსაკუთრებით აღინიშნა, რომ საერთო-ეროვნული გაფიცვის მონაწილეებს მარტო ეკონომიური მოთხოვნები არ წამოუყენებიათ. ისინი მოითხოვდნენ ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების დაჩქარებას, დემოკრატიულ და მოქალაქეობრივ თავისუფლებათა აღდგენას.

კრიზისის მარწუხებში

პარიზი. (საკკლესი). წარმოების დაქვეითება, ინფლაცია, უმუშევრობა — ასეთია საფრანგეთის ეკონომიკის მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშნები. წლის დამდეგს საქმიანი აქტივობის გარკვეულმა გამოცოცხლებამ ვერ აღმოფხვრა 1974-1975 წლების ღრმა ეკონომიური კრიზისის შედეგები.

წარმოების დაქვეითება შეეხო საფრანგეთის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგებს. მაგალითად, როგორც პრესა ეუწყება, 23,4 პროცენტით შეცირდა საავიაციო მრეწველობის შეკვეთები, თითქმის ერთიორად — ტეტალურგიის შეკვეთები.

კვლავ მწვავე სოციალურ პრობლემად რჩება უმუშევრობა. უკვე გამოცხადებულია, რომ წლის დამლევისათვის ლოტარინგიაში, სადაც თავმოყრილია ქვეყნის უდიდესი მეტალურგიული საწარმოები, 50 ათასამდე მუშა გადაჰყავთ არასრულ სამუშაო კვირაზე. ახლა საფრანგეთში 1.300.000-ზე მეტი კაცი უმუშევარია. როგორც ეკონომისტები აცხადებენ, უმუშევრობის ასეთი მაღალი დონე საფრანგეთში არ ყოფილა უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე.

მეგობრობის მიტინგი

მინსკი. 15 ნოემბერი. (საკკლესი). მინსკის სატრაქტორო ქარხნის პრავალათასიანმა კოლექტივმა დღეს აქ ვულობილად, ძმურად მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას პოლონეთის მეკრთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედვარდ გერეკი. პოლონელ ამხანაგებთან ერთად საწარმოში მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურის წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი, სხვა ოფიციალური პირები.

ქარხნის კულტურის სასახლეში გაიმართა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის ხალხმრავალი მიტინგი.

დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედვარდ გერეკი, სამშობლოში გაეშგზავრა.

საბჭოთა მსახიობების წარმატება

ნაირობი, 15 ნოემბერი. (საკკლესის კორ.). კენიელი ხელოვნების მოყვარულებთან გაიმედა დედაქალაქის მუნიციპალიტეტის დიდი დარბაზი, სადაც გაიმართა საქართველოს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „დიელოს“ მსახიობთა და საბჭოთა ესტრადის ოსტატთა ჯგუფის პირველი კონცერტი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ამირან ებრალიძის ხელმძღვანელობით.

დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ დედაქალაქის მცხოვრებნი ამ პოპულარული საბჭოთა კოლექტივის გასტროლებს. ბილეთები დიდი ხნით ადრე გაიყიდა. „შესანშნავი ხელოვნება“, „ფანტასტიკა“ — ასეთ რეპლიკებს გაიგონებდით იმ საღამოს მრავალი კენიელისგან კონცერტის დამთავრების შემდეგ. გულთბილად მიეხალმნენ მაყურებელნი მსოფლიოში განთქმულ „კატიუშას“ და „სიმღერას თბილისზე“. დამსწრეთა განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია კენიურმა სიმღერამ „დღეს ჩვენ თქვენთან წამოვალთ“, რომელიც ოსტატურად შესრულეს საბჭოთა მსახიობებმა კენიელებისათვის მშობლიურ სუაჰილის ენაზე.

საბჭოთა ესტრადის ოსტატთა და „დიელოს“ ანსამბლის გამოსვლას მაღალი შეფასება მისცეს კენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუნუა ვაიაკიმ და მთავრობის სხვა წევრებმა.

ანსამბლი „დიელო“ კენიაში გასტროლებს დრო კიდევ მთელ რიგ კონცერტებს გამართავს ნაირობში.

ბიზნესის სამყაროში

რისთვის პრის საჭირო რეკლამა?

ამბობენ, რეკლამა ვაჭრობის მამოძრავებელიაო. დღეს ეს ძველი აფორიზმი იმდენად სარეკლამო ბიზნესის ენაა, არ ამოწურავს, რომდენადაც ლაკონიური ფორმულირებით ნიღბავს მასფორმებები და კორპორაციები ნამდვილად უზარმაზარ თანხებს ახმარენ იმას, რომ ადამიანს აყიდვინონ თავიანთი საქონელი, სულ ერთია, სჭირდება მას იგი თუ არა, ღირს თუ არა იმ ფულის ნახევარი მაინც, რასაც ამ საქონლისათვის მოითხოვენ. მარტო პრესაში რეკლამას ამერიკის შეერთებული შტატების ფირმები, მაგალითად, წელიწადში 6-7 მილიარდ დოლარს ახმარენ.

უფრო სწორად, ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ ფირმები ხარჯავენ. სინამდვილეში, როგორც ბრისტოლისა და ოქსფორდის უნივერსიტეტების ეკონომისტთა გამოკვლევამ ცხადყო, რეკლამის (მათ შორის თაღლითური რეკლამის) საფასურს თვით მომხმარებლები იხდიან. ოქსფორდელი დერეკ მორისის გაანგარიშებით, ბევრი საქონლის ფასში რეკლამის ღირებულება 20-30 პროცენტს შეადგენა.

მრეწველნი ამტკიცებენ, რომ მომხმარებლის ჯიბიდან ეს დამატებითი თანხები სავსებით გამართლებულია, ვინაიდან რეკლამამ მას აძლევს დაწვრილებითს ინფორმაციას საქონლის დანიშნულებისა და თვისებების შესახებ. მაგრამ აქაც იხვლისელ მეცნიერთა გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მომხმარებლის ხარჯზე ყველაზე მეტად რეკლამას ისეთ საქონელს უწევენ, როგორიც არის გამაგრილებელი სასმელები, სიგარეტი და ა. შ., რომელთა თვისებები და დანიშნულებები დიდი ხანია ყველასთვის კარგად არის ცნობილი. (ასს).



ბრძოლაში ნაწრთობი ძმობა

მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივმა ბრძოლამ კიდევ უფრო დააახლოვა მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები, განმტკიცდა მათი ინტერნაციონალური ძმობა და მეგობრობა.

ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ იტალიელმა ხალხმა საბჭოთა მეომარს, ქვემომაჩხაანელ ფორე მოსულიშვილს მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული გმირობისა და სიმამაცისათვის ეროვნული გმირის სატატო წოდება მიანიჭა. მას შემდეგ კი, რაც ქართველი ვეტერანი გმირობამ საყოველთაოსახალხო აღიარება მოიპოვა, ფორე მოსულიშვილის სახელმა კიდევ ერთი მტკიცე ხიდი გადო იმ მეგობრობის გზაზე, რომელიც ახლა ასე ლამაზ, გულწრფელ ურთიერთობად იქცა.

უკანასკნელ ხანს საქართველოში ბევრჯერ ჩამოვიდა იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა დელეგაცია, რომლის წევრებსაც სურდათ უფრო ახლოს გაეცნოთ ჩვენი სამშობლო, ჩვენი ხალხი და საბჭოთა ქვეყნის მიღწევების შესახებ მოეთხროთ თავიანთი თანამემამულეებისათვის. ვინ მოთვლის, რამდენი კეთილი სიტყვა ითქვა საქართველოში ნახულსა და განცდილზე, რამდენი კარგი შთაბეჭდილება დაიწერა ფორეს სამშობლოში გატარებულ დღეებზე.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ მოუთხრობენ თავიანთ თანამემამულეებს გაზეთ „რეზისტენცია უნიტაში“ გამოქვეყნებულ წერილებში იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური ძონაწილენი, კომუნისტები ერალდო გასტონე და ალბინო კალეტი. გაზეთის მთელი მესამე გვერდი საბჭოთა კავშირში მათი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ეძღვნება. გვერდის რუბრიკაა „ნოვარას პარტიზანები საბჭოთა კავშირის ხალხთან ძმობასა და მეგობრობას განამტკიცებენ“.

სპეციალურ გვერდზე ორი ფოტოსურათია გამოქვეყნებული. ერთზე აღბეჭდილია იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის დელეგაციის წევრთა ერთი ჯგუფი ვოლგოგრადში გამართულ საპირველმაისო დემონსტრაციაზე, მეორე ფოტოზე კი — იტალიელი და ქართველი პარტიზანები.

— გარბიბალდიელთა დივიზიის ყოფილი მეთაური, იტალიის კომპარტიის ვეტერანი ალბინო კალეტი თავის წერილში — „გულთბილი მიღება მზედრული მამაცობისათვის დაჯილდოებული ოქროს მედალოსანი ფორე მოსულიშვილის სამშობლოში“ — ვრცლად მოუთხრობს მკითხველებს საქართველოში გატარებულ დღეებზე.

„ჩვენს დელეგაციას, რომელშიც შედიოდნენ პარტიზანული ბრიგადის „რემო სერვადეის“ ბელმძღვანელი არმანდო კალდარა, პოლიტიკური კომისარი ალდო ტუტო (პაპა უბალდო), პარტიზანთა დიდი ჯგუფი „სერვადეიდან“ და „კურიელადან“, თბილისას აეროდრომზე მეტად გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს. დამხვდურთა შორის იყვნენ ომის ვეტერანთა დელეგაციის წევრები, ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი პარტიზანები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

შემდეგ ალბინო კალეტი მკითხველებს ესაუბრება იმ შეხვედრებზე, რომლებიც იტალიელებს თბილისის 37-ე საშუალო სკოლაში გაუმართეს, სადაც იტალიელი და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ამსახველი მუზეუმია მოწყობილი.

„ამადელეგებელი შეხვედრა გავიმართეს ფორე მოსულიშვილის მშობლიურ სოფელში — ქვემო მაჩხაანში, — განაგრძობს იგი, — ჩვენს შესახვედრად თითქმის მთელი სოფელი გამოსულიყო. გმირის ეზოში სახელდახელო მიტინგი გაიმართა. ფორეს დედას გადაეცით სამახსოვრო მედალი და სიგელი. დავთვალიერეთ ფორეს სახლში მოწყობილი შესანიშნავი მუზეუში.

პირველ მაისს ქართველ პარტიზანებთან ერთად მონაწილეობა მივიღეთ საპირველმაისო დემონსტრაციაში. სადღესასწაულო კოლონებში მოდიოდნენ მუშები, მოსამსახურეები, მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, ახალგაზრდები. ტრიბუნის წინ რომ გავლენ, „სერიოზული უთანხმოებანი“ გამოავლინა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ტოკიოს შორის.

როგორც ვიუწყებოდით, მომავალი წლის 1 მარტს ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალაში შედის კანონი, რომელიც არსებითად ზღუდავს თევზჭერის უფლებებს ამერიკის სანაპირო ზონაში. იაპონიისათვის ეს შეიძლება ნიშნავდეს თევზჭერის 30-40 პროცენტის დაკარგვას წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

იაპონელი მეგბადურები, წერს გაზეთი „ბალტიმორ სანი“, შიშობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას კატასტროფული შედეგები მოჰყვება მათთვის“.

მაღალი შეფასება

● ლუსაკა. ზამბიის პრეზიდენტმა კენეტ კაუნდამ მაღალი შეფასება მისცა ხაბჭოთა კავშირის დახმარებას ქვეყნის ეროვნული კადრების მომზადებასა და დამოუკიდებელი ეკონომიკის განვითარებაში. პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა ორი ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცებასა და გაფართოებას, ქვეყნებისა, რომლებიც, როგორც მან ხაზი გაუსვა, მოკავშირეები არიან იმპერიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში.

დისკრიმინაცია განათლების სისტემაში

● ნიუ-იორკი. ნიუ-იორკის მუნიციპალური ხელისუფალნი დისკრიმინაციულ

უძველესი ქალაქის სიხარული

ბოლო ერ მიწაზე ქართული ხელოვნების ნამდვილი დღესასწაული იდგა. რამდენიმე დღეს ფოთის პარტიული, სამეურნეო აქტივის, ინტელიგენციის, მშრომელთა, მოსწავლე ახალგაზრდობის წარმომადგენლები მეზღვაურთა სასულე ორკესტრის საზეიმო მარშით, ყვავილებით ეგებებოდნენ დედაქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებს — ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის, გრიბოედოვის სახელმწიფო აკადემიური თეატრების მსახიობებს, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის სოლისტებს, ფოთში თბილისის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს.

ფოთის პირველად რუსთაველის თეატრის მსახიობები ესტუმრნენ. საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტში მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. საჯაია გულთბილად მიესალმა სახელოვანი ქართული თეატრის წარმომადგენლებს. გაიცნო მათ ფოთის მშრომელთა თვალსაჩინო მიღწევები მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

ფოთის გუნეის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის პრობლემებზე ილაპარაკა ამავე თეატრის დირექტორმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ს. კალანდარიშვილმა, რუსთაველის თეატრის სახელით საპასუხო სიტყვით ვამოვიდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. გეგეჭკორი.

შემდეგ რუსთაველელები ს. ორჯონიკიძის სახელობის გემშენაგეთელ ქარხანაში მიიწვიეს. სტუმრებმა განსაკუთრებული ინტერესით დათვალიერეს საამქროები, სადაც სპეციალურ წყალქვეშაფრთიანი ხომალდი „კომეტები“ მზადდება.

საღამოს გუნეის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში საზეიმოდ გაიხსნა თბილისის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები ფოთში. შეხვედრა გახსნა საქალაქო საპჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. კუსალეიშვილმა. ძვირფას სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ქ. ჩხეიძე. ღასასრულ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გ. ბეგეჭკორმა.

შემდეგ წარმოდგენილ იქნა რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი „სამანიშვილის დედინაცვალი“.

წარმოდგენას დიდი წარმატება ხვდა. მაყურებლებმა მხურვალე ოვაციები გუამრთეს ძვირფას სტუმრებს.

11 ნოემბერს თბილისის გრიბოედოვის თეატრის მსახიობებმა გუნეას სახელობის თეატრის სკენაზე ჩვენებს სპექტაკლი ოსეკაის „გემი ბალისა“. სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა.

გრიბოედოველებს შეხვედრა მოუწყეს ფოთის ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხნის მუშებმა, მოსახსახურეებმა, მეზღვაურებმა.

ფოთს ესტუმრნენ აგრეთვე ქართველი კინემატოგრაფისტები. რეჟისორებმა მ. კოკორაშვილმა და ი. კვირიკაძემ რუსთაველის კინოთეატრში პირველად აჩვენ კინომოყვარულებს უნივნეს თავიანთი ახალი ფილმები „მწვერვალი“ და „ქალაქი ან არა“.

გულთბილმა მასპინძლებმა საზეიმო შეხვედრები გაუმართეს ქართული კინოს წარმომადგენლებს, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის სოლისტებს.

დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე მსოფლიოში სახელგანთქმული ანსამბლის — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის (ხელმძღვანელები საჭოთა კავშირის სახალხო არტისტები, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი) გამოსვლამ.

შაბათს, 13 ნოემბერს თბილისის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების ბოლო აკორდი იყო „უაზისის“ სახალხო აკადემიის შენობაში სახვითი ხელოვნების საგამოფენო დარბაზის გახსნა. ქალაქის მკვიდრნი მადლიერნი არიან საქართველოს მხატვართა კავშირის, ყველა იმ ქართველი მხატვრებისა, რომლებმაც უძვირფასესი საჩუქარი უსახსოვრეს ფოთის ხელოვნების მოკვარულთ. გამოუზავნეს თავიანთი ნამუშევრები. ახლა 150-ზე მეტი ტილო ამშვენებს „ფაზისის“ აკადემიის მწვანე დარბაზს. ეს დასაწყისია... ამიერიდან კიდევ უფრო გამდიდრდება მისი ფონდი.

საგამოფენო დარბაზის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. სჯაია, საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. მოწვერელია, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი რ. თარხან-მოურავი, ფოთელი მხატვარი გ. მილორავა. გაზეთ „ახალი კოლხეთის“ რედაქტორი ა. ტიკარაძე, მესამე საშუალო სკოლის დირექტორი ვ. შელია, სამხატვრო სკოლის მოსწავლე მ. კუპრიშვილი. აქ შეკრებილმა მრავალრიცხოვანმა ხელოვნების მოყვარულებმა დიდი ინტერესით დათვალიერეს საგამოფენო დარბაზის ექსპოზიცია, ქართველი ფუნჯის ოსტატების, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრების ალ. გუდაშვილის, ე. ახვლედიანის, ა. ქუთათელაძის, საქართველოს დამსახურებული მხატვრების რ. ტატურას, ს. მაისაშვილის, ლ. ცუცქირიძის, ე. ბაღდავაძის და სხვათა ნამუშევრები.

საზეიმო დღეების მონაწილენი ფოთის გუნეის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში შეიკრიბნენ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტებმა და საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა დამსახურებულმა ანსამბლმა.

მეგობრული შეხვედრების სითბომ, დიდ და ნათელ ხელოვნებასთან ზიარებამ შემოქმედებითი სიხარული მანიჭა უძველესი კოლხური ქალაქის ფოთის მშრომელებს. დაუვიწყარი დღეების ჭერ დიდხანს დარჩება მადლიერ ადამიანთა გულში.

ნ. ჯაფარიძე.



სურათზე: ფინალური შეხვედრის მომენტი. მუქ მაისურებში — თბილისელი რეგბისტები. გ. სანაიას ფოტო.

სსრ კავშირის თასი — გაგარინელებს

რეგბისტთა ფინალური ასპარეზობა თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე

ჩანს, დიდი რეგბი საბოლოოდ დამკვიდრდა თბილისში — ჩვენი ორი გუნდი „ივერია“ და „ლოკომოტივი“ რეგულარულად მასპინძლობენ საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს. ოქტომბრის დასასრულს თბილისში გაიმართა ოფიციალური საერთაშორისო მატჩიც—შეხვედრა სსრ კავშირისა და შვეიცის ნაკრებ გუნდებს შორის. და აი კვირას თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე კვლავ ვიხილეთ საინტერესო ასპარეზობა რეგბიში — სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშების ფინალი.

მასპინძლებს — თბილისის „ლოკომოტივის“ რეგბისტებს, რომლებიც მოსკოვის ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდთან თამაშობდნენ, კარგი შანსი ეძლეოდათ საპატიო ჯილდოს პირველი მფლობელნი გამხდარიყვნენ.

ანგარიში მოსკოველებმა გახსნეს. მე-12 წუთზე ს. სავინმა ზუსტად შესრულა საჯარიმო დარტყმა და სამქულიანი უპირატესობა მოუტანა თავის გუნდს.

25 წუთზე თბილისელთა კაპიტანმა და გუნდის ლიდერმა ა. გიორგაძემ აღადგინა წონასწორობა — ძალზე რთული მდგომარეობიდან (მახვილი კუთხით) სპასუხო საჯარიმო გაიტანა — 3:3. ზუსტად ორი წუთის შემდეგ ა. გიორგაძემ კვლავ მიაღწია წარმატებას. 6:3 — დაწინაურდა „ლოკომოტივი“.

შესვენების წინ სტუმრებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 6:6, მაგრამ თბილისელებისათვის, ვფიქრობთ, უფრო დიდი დანაკარგი იყო მსაჯის ა. გრუმბილასის (ვილნიუსი) მიერ გუნდის საუკეთესო მოთამაშის, მთავარი ბომბარდირის ა. გიორგაძის საეჭვო გაძევება მოედნიდან.

მეორე ტაიმში თბილისელებმა ა. ხარშილაძემ და ო. ლიპარტელიანმა ორი სახიფათო გარღვევა განახორციელეს, მაგრამ შედ პირით ხაზთან დაკარგეს ბურთი. სამაგიეროდ (თამაშის 62-ე წუთზე) მოსკოველებმა (ი. კარპუხინი) შეძლეს ბურთის გატანა (რეგბიში მიღებული ტერმინით „დამიწება“) მეტოქის ე. ჭ. ჩათვლის მოედანზე, რითაც კიდევ 4 ქულა ჩაიწერეს — 10:6.

გაგარინელები, რომლებსაც ავარჯიშებს რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მწვრთნელი ე. ჭ. ანტონოვი, საბჭოთა კავშირის თასის პირველი მფლობელები გახდნენ. თბილისის „ლოკომოტივია“ (მწვრთნელი თ. ბენდიაშვილი), მიუხედავად დამარცხებისა, საკმაოდ კარგი თამაში გვიჩვენა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში და მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

შეხვედრის საუკეთესო მოთამაშეებს ი. კარპუხინსა და თ. ბენდიაშვილს (მოთამაშე მწვრთნელი) სპეციალური პრიზები გადაეცათ.

მატჩის შემდეგ ჩვენ ვესაუბრეთ საქართველოს რეგბის ფედერაციის თავმჯდომარეს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს ბ. მრელაშვილს:

—ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი და ამიერიდან თასის პირველი მფლობელიც — ი. გაგარინის სახელობის აკადემიის გუნდი დღეს ნამდვილად უძლიერესია კავშირში, იგი ნაკრების ბირთვს წარმოადგენს. შემადგენლობაში ისეთი ძლიერი მოთამაშეები პყავს, როგორიც არიან მცველები ა. კარპუხინი, ი. მარონოვი და თ. მგელაძე, თავდამსხმელი მ. თუშიშვილი. საინტერესოა, რომ ქართველი სპორტსმენები რამდენიმე წლის წინ გადავიდნენ თბილისიდან მოსკოვში. ლოკომოტიველ რეგბისტთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შეუშინდნენ მეტოქის ტიტულებს და გაბედული ბრძოლა შესთავაზეს. მსაჯს რომ მოედნიდან არ გაეძევებინა ლოკომოტიველთა ლიდერი ა. გიორგაძე (ვფიქრობ, რომ იგი უფრო იმსახურებდა ჯარიმას ან გაფრთხილებას) შედეგი ალბათ სულ სხვა იქნებოდა.

ო. ნოზაძე.



სურათზე: ხოხუმის ნავსადგურში. ფ. ბუსკინელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს ქალაქებში

მარტოხელა ბიჭის დარღი

მცირეწლოვანმა დანაშაული ჩაიდინა; ვინ არის დამნაშავე?

იგი ახლა ჩემ წინ ზის. იქნებ რცხვენია, გულისხმდები გაამეღავნოს, იქნებ, გადატანილი სულიერი ტრავმა უბორკავს ენას, ვინ იცის. ერთი კი ცხადია: რაც თავი ახსოვს, რაც მის ყმაწვილურ მეხსიერებას შემორჩა, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ჩხუბი, ყაყალ-მაყალი, შიში, ცრემლები... პატარობისას, თამაშის დროს, ფალში მინის ნამსხვრევი მოხვედრია. ახლა, ჩემთან საუბრის დროს ის ერთადერთი საღი თვალი ცრემლით ეცვნება და, ამის შემხედვარეს, დიდი, გამოუთქმელი სევდა მიპყრობს.

ის ჩემთან შეხვედრას არ მოელოდა. რამდენიმე დღის წინ განცხადებით მოუმართავს შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის და მისი ცხოვრების ამბავი ძალუნებურად გამომძიებელნა. ჩვენ გადაეწყვიტეთ საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანოთ ეს ამბავი, რადგან საკითხი ჩვენს მოგალეს, ჩვენს ხვალინდელ დღეს ეხება და უფლება არა გვაქვს, გულგრილად ავუაროთ გვერდი.

სჯობს ისევ ამ ბიჭის განცხადებით დავიწყოთ. „ეცხოვრობ ქუთაისში, წერეთლის ქუჩაზე, ვსწავლობ პროფტექნიკურ სასწავლებელში. ცოტა კიდევ და საკუთარ თავს მივეპატრონები, — ასე იწყება ბიჭი გურამის-ძე ხიზანეიშვილის განცხადება ქუთაისის მინაგან საქმეთა მეორე განყოფილების უფროსისადმი.— ცხრა წლის წინათ, — განაგრძობს განმცხადებელი, — ჩემი მშობლები ერთმანეთს გასცილდნენ. მე მამას მიმაკუთვნეს, უმცროსი ძმა — დედას. ამჟამად დედასაც და მამასაც თავ-თავიანთი ოჯახები აქვთ შექმნილი. მაგრამ მამა ჩემზე არ ზრუნავს და სამინელ გაჭირვებას განვიცდი. მშობლემა მამამ გულქვაობით და უყურადღებობით თავი ისე შემაძულა, რომ მისი დანახვაც მზარავს — ოიტის ოდენა სითბო მისგან არასოდეს მღვრსებია. არ მინდა, ცუდ გზას დავადგე. ცუდ საქმეს ვისთვის დაეყრია საკეთე. ალბა, სულ სხვის სამოწყალოდ სიარული ალარ შემიძლია...“

რა უგულო უნდა იყო ადამიანი, ამ წერილმა რომ არ აგაღელვოს. ცხადია, შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები გულგრილი ვერ დარჩებოდნენ ყმაწვილის ბედისადმი. მათ ბალრი საკონსულტაციო ქარხანაში მოაწყვეს სამუშაოდ და მზრუნველობას დაუყრდნეს არ.ა ახლა აკლებენ, მაგრამ მამა? ოჯახი? ხომ შეიძლებოდა ყმაწვილს დანაშაული ჩაედინა?

— ბოლო ორი წლის ანალიზი, — გვითხრა შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა მ. ნავროზაშვილმა, — გვარწმუნებს, რომ ქუთაისში ალარსულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის 80 პროცენტი უზედამხედველობის მიზეზითაა. ბალრის იმდენი ჭკუა და ნებისყოფა ეყო, რომ ცდუნებას არ ამყოლოდა და ჩვენამდე მოსულიყო. მაგრამ განა ყოველთვის ასე ხდება?

ახლა დაეუბრუნდეთ ისევ მამას, დედას, ოჯახს.

— დედაჩემს რომ გაეყარა, მამამ მეორე ცოლი შეირთო, — მოგვითხრობს ბალრი. — მალე ისიც მიატოვა და მესამე მოიყვანა. დედინაცვალი ხშირად მაძახლებდა, მამა მცემდა. ბოლოს იძულებული გავხდი, დედასთან გადავსულიყავი.

— მამამ არ მოგიკითხა?

— უთქვამს, ჯანდაბამდე გზა ჰქონიაო. დედაჩემი ახლა ზუგდიდში ცხოვრობს, ხანდახან მაკითხავს, მაგრამ... — სათქმელი ალარ დაამთავრა და თვალიდან ისევ კურცხალი ჩამოუგორდა.

დასაძალი არ არის, რომ მოზარდთა დანაშაულის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა მშობლების გაყრაა. „დედ-მამის გაცილება, — წერდა დიდი რუსი პედაგოგი ს. მაკარენკო, — უფრო დიდ სულიერ ტრავმას აყენებს ბავშვებს, ვიდრე ომობა“. მართლაცდა, რა ძნელი უნდა იყოს, როცა დედაც გყავს, მამაც და მშობლიურ ალერსს მაინც დანატრებული ხარ. ბავშვის გონება ვერა და ვერ ეგუება იმ აზრს, რომ მამამ ან დედამ მიატოვა, ხშირად იგი გულნათრობილი და გამორიტებული ხდება, ადვილად ადგება დანაშაულის გზას.

შემაშფოთებელი ფაქტები მიამბეს შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა. აი, რამდენიმე მათგანი: ამჟამად ქურდობისათვის პატიმრობაშია ა ასაჯელს იხდის 1956 წელს დაბადებული ე. გ. — დედამისმა სამი მცირეწლოვანი ბავშვი და მეუღლე მიატოვა და სხვა მამაკაცს გაჰყვა.

3. გ-ძემ მეორე ცოლი შეირთო. ეს უკანასკნელი ბერებს აიძულებდა, რა გზითაც უნდოდათ, ფული ეშოვათ და ბისთვის მიეტანათ. დედინაცვალს წყალობით პატარა ბიჭი ისე გაიწაფა წვრილმან ქურდობაში, რომ შემდეგ ბინების გატეხვაც დაიწყო. ბოლო დანაშაულზე მაშინ წაუსწრეს, როცა დედინაცვალთან ერთად ნაქურდალ ნივთებს ქვევრში ინახავდა.

ლრმამ მამამ სახლიდან გაგდო ჯერ მეუღლე, შემდეგ მცირეწლოვანი შვილი — ტ. ჩ. ეს გოგონა ხან ერთ ნათესავთან აფარებდა თავს და ხან მეორესთან. ბოლოს ქუჩაში მოხვდა. მხოლოდ შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკთა დახმარებითა და ხელშეწყობით ასცდა მცირეწლოვანი ცუდ გზას. მან უკვე მონახა თავისი ადგილი ცხოვრებაში და ახლა მწარე სინანულით იგონებს წარსულს.

ამ წერილში ჩვენ მოზარდთა დანაშაულის ერთ მიზეზზე ვისაუბრეთ. რასაკვირველია, შორსა ვართ იმ აზრისაგან, თითქოს მხოლოდ დედ-მამის გაყრა იყოს მცირეწლოვანთა დანაშაულის მიზეზი. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ოჯახის სიმტკიცე მომავალი თაობის სწორი აღზრდის უპირველესი პირობაა.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ტექნიკა ჩვენს ცხოვრებაში

წარმოების თანაშემწენი

საბჭოთა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტებს ელექტრული გამოთვლითი ტექნიკის სფერომი მჭიდრო მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთთანამშრომლობა აკავშირებთ, რაც საფუძვლად ედება ახალი საინტერესო გამოთვლითი მანქანების შექმნასა და დანერგვას, სპეციალისტების გაცვლას.

როგორც სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო აცხადებს, ყველაზე დიდი მოთხოვნილება დღეს საბუღალტრო გამოთვლითის მანქანებზეა.

სიმპოზიუმები თუ სპეციალიზებული გამოფენები მიზნად ისახავს ამ დარგში ახალი მიღწევების ჩვენებას, წარმოებაში უკვე დანერგილი გამოთვლითი ტექნიკის შედეგების გაცნობასა და მომავალ პერსპექტივებს.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ამ დღეებში თბილისში გამართული სიმპოზიუმიც, რომელიც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სხდომათა დარაბაზში მოეწყო.

სიმპოზიუმზე ჩამოსულმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სტუმრებმა საბჭოთა კოლეგებს გამოთვლითი მანქანების რამდენიმე ახალი ნიმუში წარმოუდგინეს. ამ სიახლეებზე გვესაუბრებიან ამ რესპუბლიკის ორი მსხვილი სახალხო კომბინატის „ცენტრონიკასა“ და „რობოტრონის“ გენერალური დირექტორების მოადგილენი ალრ შტაძმი და კლაუს მატეს.

— ჩვენს მიერ შემოთავაზებულ სიახლეებს შორის არის ავტომატური საბუღალტრო და ფაქტურული მანქანა „დარო 1720“, რომელიც შარფან ლაიფციგის საგაზაფხულო ბაზრობაზე ოქროს მედლით დაჯილდოვდა. „დარო 1720“-ს გამოყენების ფართო შესაძლებლობა აქვს. მას იყენებენ დაგეგმვაში, გაანგარიშებაში, კონტროლისათვის, სტატისტიკასა და ბუღალტერიაში. ეს ავტომატი დიდ დატვირთვას იტანს და მოდულურ კონსტრუქციის სამუალებით შეიძლება საწარმოს ტადიდებასთან ერთად თვითონაც გაფართოდეს უფრო რთული ამოცანების ამოსახსნელად.

ინფორმაციის რეგისტრაციის ნახევრადავტომატურ სისტემას წარმოადგენს მანქანა „დარო 1600“, რომელსაც ქიმიურ და საგლინავ წარმოებაში იყენებენ, ამასთან იგი შეიძლება დაინერგოს ნავთობის მრეწველობაშიც.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის მეთაურობით სოციალისტურმა ქვეყნებმა ერთობლივი მუშაობით შეიმუშავეს ელექტრული გამოთვლითი მანქანების ერთიანი სისტემა, რაც სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის დიდებული მაგალითია. ამ სისტემის საფუძველზე ბევრ ქვეყანაში შეიქმნა სხვადასხვა მოდელები. ამჯერად კოლეგებს გვაცანით გერმანული წარმოების ელექტრული გამოთვლითი სისტემა. იგი დიდ ეფექტიანობას უზრუნველყოფს ტექნიკური, ეკონომიური და მეცნიერული ამოცანების ამოხსნაში.

ფრიად სასიამოვნოა, რომ ქართველმა კოლეგებმა დიდი დაინტერესება გამოიჩინეს წარმოდგენილი სიახლეებისადმი. საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში ჩვენ მათს მიღწევებსაც გაეცანით და აღტაცებული ვართ შედეგებით. შევაცდებით მათი გამოცდილება შევისწავლოთ, გამოვიყენოთ და ჩვენშიც დავნერგოთ. ჩვენი შეგგდრების მიზანიც ხომ ეს არის.

რ. მუხიგულაშვილი.

* * *



სურათზე: ახალი ავტომატური საბუღალტრო ფაქტურული მანქანა „დარო 1720“.

ამინდი

გუშინ, 13 საათზე დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი იდგა, რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროდა. ყველაზე მეტი სითბო — 23 გრადუსი ბათუმში აღინიშნა. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 19-21, მთებში 10-14 გრადუსი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოშიც მშრალი ამინდი იდგა. დაბლობ რაიონებში 8-10, მთებში 6-10 გრადუსი აღინიშნა.

გუშინ, 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 10 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდია მოსალოდნელი, რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს. დაბლობ რაიონებში 18-23, მთებში 12-17 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, სუსტი ქარი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 9-14, მთებში 6-11 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, ტემპერატურა 12-14 გრადუსი.

ვ. ქარსელაძის მემორიალი

პირველი ნახევრის შემდეგ

მეშვიდე ტურში მაყურებლებს დიდი მოლოდინრება განაცდევინა ხოლმოვ-კუზმინის მძაფრმა პარტიამ. შავებმა ნიმცოვიჩის დაცვა აირჩიეს და ვერ შეძლეს მდგომარეობის გათანაბრება. ხოლმოვმა, რომელიც ამ ტურნირში როგორღაც უფერულად გამოდის, ამჯერად ეტყობა, გაიხსენა, რომ წარსულში მრავალი სპეციალური პრიზი აქვს მოპოვებული ლმაზი თამაშისათვის. მან თამამად გააკეთა გრძელი როკი და თითქოს მეტოქე საიერიშოდ მიიწვია. კუზმინი მეგაცადა პაიკის შეწირვით დაიწყო შეტევა, მაგრამ ამაოდ. ამასობაში ხოლმოვმა მეფის ფრთაზე დაიწყო მრისხანე იერიში, რაც ლაზიერის არც თუ ისე რთული, მაგრამ ლამაზი შეწირვით დაავიერვინა. კუზმინმა შეწყვიტა წინააღმდეგობა. ამ პარტიის მოგება ხოლმოვის დიდ შემოქმედებით მიღწევად უნდა ჩაითვალოს, აი ეს საინტერესო პარტია.

ხოლმოვი — კუზმინი

ნიმცოვიჩის დაცვა

1. d4 ბf6 2. c4 e6 3. ბc3 კb4 4. e3 b6 5. ბge2 ბe4 6. კd2 ბ:c2 7. ლ:d2 0—0 8. a3 კe7 9. ბf4 ბc6 10. კe2 ბa5 11. ლc2 c5 12. d5 e5 13. ბh5 g6 14. ბg3 კa6 15. ლa4 კc8 16. ბge4 ბn7 17. g4 f5 18. gf gf 19. ბg3 ბqh5 20. ლc2 ძd6 21. f4 e4 22. ბh5 a6 23. 0—0—0 b5 24. cb c4 25. ba ლ b6 26. ლd2 კ:a6 27. ეhg1 ლa7 28. ეg3 კd8 29. ძa4 c3 30. ლ:c3+კf6 31. ბ:f6 ეac8 32. ეdg1 ე:c3+ 33. ბ:c3 ლa8 34. ეg8+ შავები დანებდნენ.

ჩინებულად თამაშობდა გურგენიძე. ძაი თახმიმდევრულად აკობა ლერნერს და მოიგო ძაიკი. პარტია გადაიდო კუთა ენდშპილი, რომლის ხსნაც ოდესელ ოსტატს ძალიან გაუჭირდება. ბოკუიავამ უარყო ლუტიკოვის მიერ შეთავაზებული ყაიმი, მეცდა და წაგო. უბილავა-ანიკაევის პარტიაში ქართველ ოსტატს უპირატესობა ჰქონდა ცენტრში, ანიკაევი კი მუქარას ქმნიდა მეფის ფრთაზე. ბოლოს ანიკაევმა ფიგურა შეწირა და მუდმივი ქიშით პარტია ყაიმით დასრულდა. ასეთივე ძედეგით დამთავრდა გიორგაძე-მიხალჩიშინის პარტია.

გუშინ მერვე ტურში გურგენიძემ მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია ლუტიკოვთან, სტურუამ მოუგო ბოკუჩავას (გუშინ დილით მან გადადებულ პარტიაში გაიმარჯვა ლერნერთანაც), მიხალჩიშინმა — მიქაძეს. ყაიმზე შეთანხმდნენ ლერნერი-ხოლმოვი და კუზმინ-ჩიქოვანი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

8 ტურის შემდეგ 4,5 ქულით და ერთი გადადებული პარტიით პირველ ადგილზეა ანიკაევი.

გ. გამრეკელი.

ა. მაისურაძე — აბსოლუტური ჩემპიონი

მსოფლიოს ჩემპიონმა იუნიორთა შორის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტმა, 21 წლის ავთანდილ მაისურაძემ (წონა 112 კილოგრამი), რომელსაც ავარჯიშებს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. მაისურაძე, **სსრ კავშირის ამხოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა ოსტოვში დამთავრებულ ასპარეზობაზე კლასიკურ ჭიდაობაში.**

ა. მაისურაძემ ფინალში წმინდად დაამარცხა კრასნოდარელი ი. იაკუტიჩი, ხოლო უფრო ადრე — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ქვემძმემე წონაში თბილისელი მიხეილ სალაძე, რომელიც მესამე ადგილზე გამოვიდა. მეორე პრიზიორი გახდა როსტოველი დ. გალკინი.

აღსანიშნავია, რომ ქართველ მოჭიდავეთაგან აქამდე მხოლოდ სპორტის დამსახურებული ოსტატი კონსტანტინე კობერიძე ფლობდა ამხოლუტური ჩემპიონის ტიტულს, ეს იყო 37 წლის წინათ — 1939 წელს.

მოკლედ

ჭიდაობა. ბაკოში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. თასის მფლობელმა — რუსეთის ფედერაციის გუნდმა, დამარცხა ჯერ ყაზახეთისა და საქართველოს გუნდები, შემდეგ კი ფინალში — აზერბაიჯანის ნაკრები და კვლავ მოიპოვა საპატიო ჯილდო.

პოლენეთის ქალაქ ლოძში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ლიუ-დოში იუნიორთა და ჭაბუკთა შორის. საბჭოთა ათლეტებმა მოიპოვეს ექვსი ოქროს მედალი ათიდან.

ტანვარჯიში. მონრეალის ოლიმპიადის ამხოლუტურმა ჩემპიონმა, რუმინელმა ნადია კომანეჩიმ გაიმარჯვა იაპონიის ქალაქ ნაგოიაში გამართულ „ტუუნიტის“ თასის გათამაშებაში. მან ორი „ათიანი“ მიიღო ორმელსა და თავისუფალ ვარჯიშში, სულ კი 39,75 ქულა მოაგროვა. ვაჟებში გაიმარჯვა 19 წლის მოსკოველმა ვლადიმერ მარკელოვმა (57,20).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის — გეომეტრია, 11.00 — „ჩვენი ბიოგრაფია. 1918 წელი“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „ჟინომოზურობის კლუბი“ ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვი დ ა ნ), 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ესსანეთი სამოცდამეცამეტე“, 18.25 — განცხადებები, 18.30 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა, 19.00 — „შეხვედრა საინტერესო ადამიანებთან“ — ოთარ ანჯაფარიძე, 19.30 — საესტრადო ანსამბლ „ჩანგის“ კოცერტი — ფერადი გამოსახულებით, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — მხატვრული ფილმი „მგლის ხროვა“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი, 23.00 — სპორტული მიმოხილვა.

მეორე პროგრამით

18.05 — VI კლასელთათვის — ფიზიკა, 18.50 — ნახატი ფილმი „ლილის მუსიკა“ 19.10 — სტუდენტთათვის — თეორიული მ ე ქ ა ნ ი კ ა, 19.55 — დოკუმენტური ფილმი „მივდივარ საუკუნის გზით“, 20.55 — განცხადებები, 21.00 — ქართული მხატვრული ფილმი „დიდი მწვანე ველი“.

რადიო

17 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის ლილა“, 08.00 — გაზეთი „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — კამერული მუსიკა, 09.25 — რუსულიენოვანი გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ფოგმენტები ქართული ოპერეტებიდან, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ფ. ლისტი — პირველი საფორტეპიანო კონცერტი, 11.45 — „ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა“, 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — გაზეთი „პრავდის“ მოწვინავე სტატია, 13.40 — მღერის ლ. გოცირიძე, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“, კ. გასახურდია — „ვაზის ყვავილობა“ — რომანი, 14.20 — ნ. მიახკოვსკი — სიმფონია „ბალადა“, 15.20 — „თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრში“. თეატრის 125 წლისთავთან დაკავშირებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — ყველაზე პატარებისთვის — „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — ა. ხაჩატურიანი — ფრაგმენტები ბალეტ „სპარტაკიდან“, 18.45 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე, 19.00 — საუბარი — „პარტიის მოთხოვნაა — ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად, მაქსიმალური ნაყოფიერებით“, 19.15 — ნ. გაბუნია — ვოკალურ-ინსტრუმენტალური პიესა „იგავი“, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაკო-ერევანი“. ტრანსლაცია ბაკოდან, 21.00 — „ძილისპირეული“, 21.15 ახალგაზრდობისათვის. „სტუდენტურ პლანეტაზე“ — რადიოკომპოზიცია, 21.30 — ქართული მუსიკა, 22.00 — რ. ინანიშვილი — „წისქვილი ქალაქის გარეუბანში“ — რადიოდადგმა, 23.30 უკრავს ა. კორტი.

თეატრები

16 ნოემბერი

**შოთა რუსთაველის სახელმბის სახელმწიფო აკადემიური—ᲓᲐᲡᲐᲬ